პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

პაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 სამშაბათი 7 დეკემბერი № 287 (16717) ფასი 2 კაპ. 1976

ჩვენი ზვრების რეზერვები

ბოლანან ჩათავდა რთველი, მაგრამ ჩვენი გამრჯე მევენახეები ისევ ზვრებში არიან, ვაზს უვლიან, პატრონობენ. უამინდობამ, ბუნების ჭირვეულობამ წლეულს თავისი დაღი დააჩინა ზვრებს და ცხადია ჩვენმა მევენახეებმა, განსაკუთრებით კი კახეთის რაიონებში ისე ვერ მოირთვლიანეს, როგორც მათ უნდოდათ, როგორც მათს ვენახებს შეეფერის.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ დასავლეთ საქართველოს, უპირველესად კი იმერეთის რაიონების მევენახეთა ზრუნვა ვაზისათვის, მათი დაუღალავი შრომა ყურძნის უხვი მოსავლისათვის. ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, ვანისა და სხვა რაიონების მევენახეებმა, არა თუ გეგმები, არამედ ვალდებულებებიც გადამეტებით შეასრულეს. როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმზე აღინიშნა: „დასავლეთ საქართველოს მევენახეთა ენერგიული და თავდადებული შრომის შეოხებით ამ სეზონში შევძელით რამდენადმე აგვანაზღაურებინა კახეთისა და ქართლის ვენახებისათვის მიყენებული ზარალი. ეს ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დასავლეთ საქართველოში დიდი რეზერვები გვაქვს, რომელიც მეათე ხუთწლედში აუცილებლად უნდა ავამოქმედოთ“.

როცა ჩვენი ზვრების რეზერვებზე, დიდი და უხვი რთველის რეზერვებზე ვლაპარაკობთ, როცა ვამბობთ, რომ წლევანდელი დანაკლისი შემდეგ წლებში უნდა ავინაზღაუროთო, ეს იმას ნიშნავს, რომ აქედანვე, მეათე ხუთწლედის პირველი წლის ბოლოს და მომავალი წლის დამდეგდანვე შემოქმედებითად, ცოდნისა და გამოცდილების, მეცნიერების მიღწევების მაქსიმალურად გამოყენებით მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ გაისისა და მომდევნო წლების უხვ მოსავალს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ჩვენი ამოცანა, შემდეგ ის არის, რომ დავსახოთ სახალხო სამეურნეო გეგმების შესრულების ყველაზე ეფექტიანი ტაქტიკა. ეს კი ნიშნავს, რომ გაამჟავლინოთ და მკაფიოდ შემოვხაზოთ მუშაობის გაღამფუძეები უბნები, გამოვყოთ ხუთწლიანი და წლიური გეგმების ის კვანძები, რომლებსაც მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ პარტიულმა, კომკავშირულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, რომლებსაც პარტიისა და ხალხის ძალების მეტი კონცენტრაცია სჭირდებათ“.

ეს საბრძოლო მითითება სავსებით შეეხატყვინება მევენახეობასაც. ამ მეტად შემოსავლიან დარგში ჩვენ ჯერ კიდევ დიდი რეზერვები გვაქვს.

სად უნდა ვეძებოთ ეს რეზერვები? როგორ უნდა ავამოქმედოთ ეგი?

ამ კითხვებზე პასუხს იძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეხუთე სესიისა და მევენახეთა თათბირის, რომელიც ქუთაისში გაიმართა, მასალების გულდასმით გაცნობა. როგორც ვიცით, რესპუბლიკის მშრომელების, პარტიული ორგანიზაციის ხელმეძღვანელობით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პირობა მისცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ უახლოეს წლებში ყურძნის წარმოება 1 მილიონ ტონამდე გადიდდება. მეათე ხუთწლედის ბოლო წელს 850 ათასი ტონა ყურძენი უნდა ვაწარმოოთ. ამისათვის მუშავდება დამატებითი ღონისძიებები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსათვის. ეს ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც ახალი ვენახების გაშენებას, ისე განსაკუთრებით, მოსავლიანობის გადიდებას.

ყოველგვარი პირობებია, რომ მეათე ხუთწლედის მანძილზე ყოველწლიურად დასავლეთ საქართველოს რაიონებში გაშენდეს 2.500-3.000 ჰექტარი ახალი ვენახები. ეს კი საშუალებას მოგვცემს უკვე 1985 წლისათვის ამ ზონაში, საზოგადოებრივი ზვრებიდან დამატებით მივიღოთ სულ ცოტა 60 ათასი ტონა ყურძენი. აი ერთ-ერთი რეზერვი, რომლის დროულად ამოქმედებისათვის ხელმძღვანელობენ უნდა იმუშაონ ამ ზონის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, ახალგაზრდულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, მეზვრეებმა, ყველა მშრომელმა. ასევე დიდ ფართობზეა დაგეგმილი ახალი ვენახების გაშენება კახეთისა და ქართლის რაიონებში, რაც ამ ზონების რაიონების ხელმძღვანელებსა და მშრომელებს მეტად დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე აყენებს. მათ მთელი პარტიული შეგნებით, ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის ფართოდ გაშლით უნდა უზრუნველყონ ყოველი რეზერვის ამოქმედება, ახალი ვენახების გაშენების დავალების დროზე და გადამეტებით შესრულება. მათ აქვე უნდა შევახსენოთ, რომ ახალ ვენახებში სიმეჩხეტეს პირველივე წლიდანვე აქტიურად უნდა ვებრძოლოთ.

სიმეჩხრის გამო რესპუბლიკაში ყოველწლიურად 60 ათას ტონამდე ყურძენი იკარგება. ამ მიზეზით დიდძალ ყურძენს ჭკარგავენ თელავის, ყვარლის, ახმეტის, გორის, მცხეთის, გარდაბნისა და იმერეთის მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში სიმეჩხრის გამო 700 ჰექტარიან ვენახებში თითქმის 200 ჰექტარი ცდება, უქმად იკარგება შრომა. ძვირდება ამოცანა. ამოცანა ის არის, რომ წლევანდელი ზამთრისა და მომავალი გაზაფხულის ყოველი დღე მაქსიმალურად გამოვიყენოთ, გაისადვე აღვადგინოთ ზვრები. ეს იქნება დიდი რეზერვი ხიუხვისათვის ბრძოლაში.

სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლა დიდი საოჯახო-სახალხო საქმეა. დეკემბერსა და ადრე გაზაფხულზე, აგრეთვე შემდგომაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა ზვრებში სიმეჩხრე, რომელიც ჯერ კიდევ 20 პროცენტზე მეტია, მინიმუმამდე შემცირდეს.

ამ ბოლო წლებში კახეთისა და ქართლის რაიონების ზვრებს დიდ ზიანს აყენებს სტიქიური მოვლენები — ყინვა და სეტყვა. ამ საკითხზე ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, მაგრამ სამწუხაროდ ზოგან სტიქია გამოდის გამარჯვებული. ეს პირველ რიგში იმის ბრალია, რომ ადრეულ წლებში ვენახები განუკითხავად, მეცნიერთა და მოწინავეთა რჩევის გარეშე შენდებოდა.

ამას ისიც უწყობს ხელს, რომ მთელი რიგი ხაზოგადოებრივი მეურნეობები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან მეცნიერების რჩევა-დარიგებებს და მოწინავეთა გამოცდილებას. გურჯაანის რაიონის ვეჯინის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ალაზნისპირას 187 ჰექტარიანი ზვრები ზამთარში თითქმის ასი პროცენტით მოიყინა. მეურნეობის მეზვრეებმა მევენახეობის, მებაღეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა რეკომენდაციით დაამუშავეს და წლეულსვე ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი, ზოგან კი 40-45 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ასევე რომ მოქცეულიყვნენ კახეთისა და ქართლის რაიონების მთელი რიგი სხვა მეურნეობებიც ყურძნის მოსავლიანობა ფაქტიურთან შედარებით საგრძნობლად მეტი იქნებოდა.

ჩვენი ზვრების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი რეზერვი ვენახების აგროწესების ზუსტად დაცვით მოვლა-პატრონობაა. აქ მთავარია ვენახების აგროწესების მთელი კომპლექსის დაცვით მოვლა. ამ კომპლექსში შედის მიწის დამუშავება, სახუქების შეტანა, ვაზის სხვლა და შეყელვა, წამლობა, მწვანე ოპერაციები, რწყვა. ყოველმა საქმის მოყვარულმა მევენახემ კარგად იცის, რომ ამ კომპლექსიდან ერთ-ერთიც რომ ცუდად შესრულდეს მოსავლიანობა ერთობ შემცირდება. დღეს ჩვენ ვბეჭდავთ მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახის, ლენინის ორდენოსან კონსტანტინე ფულარიანის წერილს. იგი თანამოსაუბრეებს მოუწოდებს, რომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ღირსეულად შეხვდნენ და ამრავლონ ზვრების ბარაქა. ეს დაუღალავი და თავისი საქმის ნამდვილი პროფესორი, გამრჯე მევენახე წლების მანძილზე უხვ მოსავალს იწევს. ფულარიანის წარმატებაში უცნაური არაფერი არ არის. იგი აგროწესების მთელ კომპლექსს თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ახორციელებს.

დიმელი მევენახის თაოსნობა საქართველოს ყველა მევენახემ უნდა აიტაცოს, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წელი იყოს სიუხვისა და გარდატეხის წელი. ამისათვის საჭირო მევენახეობის მთელ მუშაობას, ამ დარგის განვითარებას საფუძვლად დაედოს ადამიანთა დიდი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, მტკიცე შრომის დისციპლინა და შეგნებულობა.

ახლა ყოველი დღე ძვირფასია. დეკემბერი უნდა გამოვაცხადოთ ახალი ვენახების გაშენების დამკვრელურ თვედ, აქედანვე უნდა ჩავუყაროთ მტკიცე საფუძველი მეათე ხუთწლედის გოლოსათვის ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

წლის დარჩენილი დღეები — დამკვრელური შრომით!

იცავენ მუშნეგლოგის ვადას

ბიათურა. (საკ. კორ.). მანგანუმის ქალაქის მშენებლებმა 10 თვეში შეასრულეს სანინო მშენებლობის წლიური დავალება, დაზოგეს დიდძალი სამშენებლო მასალები, თვითღირებულების შემცირებით მიიღებულია ათეულ ათასობით მანეთი ეკონომია.

სამშენებლო ინდუსტრიის გაძლიერებით და კარგი შრომის ორგანიზაციის მეოხებით ყველა ობიექტის მშენებლობა გრაფიკით მიმდინარეობს, მაღალია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

ამ დღეებში „ჭიათურმანგანუმმშენის“ ტრესტმა (მმართველი ჯ. რაზმაძე) სასიხარულო დეპეშა მიიღო მოსკოვიდან. მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით, მშენებლები პირველ ადგილზე გამოვიდნენ სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამშენებლო ორგანიზაციებს შორის გამლილ შეჯიბრებაში და გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვეს.

საქართველოს მეგოსტნეთა გამარჯვება

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ბეჯითად იღვწიან სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ბოსტნეულის უხვი მოსავალი მოიწიეს, ორგანიზებულად აიღეს ჭირხნული, პირნათლად შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმა და ვალდებულება. 1 დეკემბრისათვის დაშენებულია 257,8 ათასი ტონა ბოსტნეული. მაშინ როცა ვალდებულებით გათვალისწინებული იყო 255 ათასი ტონა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დამზადებული ბოსტნეულის ასორტიმენტი და ხარისხი.

სახელმწიფოს მიეყიდა 109,1 ათასი ტონა პამიდორი, გათვალისწინებული 106,7 ათასი ტონის ნაცვლად, 72,6 ათასი ტონა კომბოსტო, გეგმით გათვალისწინებული 63 ათასი ტონის ნაცვლად, 29,5 ათასი ტონა ხახვი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 25,2 ათასი ტონა, 2,2 ათასი ტონა ნიორი—მარმანდელზე ემესჯერ მეტი.

გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გორდაბნის, მარნეულის, გორის, ხაშურის, წითელწყაროს, გურჯაანის, ბოლნისის, ამბროსის, სამტრედიის რაიონებისა და ქალაქ წყალტუბოს ზონის მებოსტნეებმა.

სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვა გრძელდება.

(საქინფორმი).

ჯილდოდ—დროშა

თბილისი. დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგა ავჭალის შუშის ქარხნის (დირექტორი გ. ჭელიძე) კოლექტივი, რომელმაც 10 დღით ადრე გაანაღდა თერმიტი თვის დავალება და მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 200 ათასი ცალი ბოთლი მიაწოდა.

„30 დამკვრელური დღეადა მივუძღვნათ ოქტომბრის მე-60 წლისთავს“, მეშუშეები ამ დევიზით შრომობენ, და იმისათვის იბრძვიან, რომ მეოთხე კვარტალშიც შეინარჩუნონ საკავშირო დროშა, რომელიც მესამე კვარტალის მაღალი მაჩვენებლებისათვის მიიღეს.

„ბელაზს“ მართავს ქალიშვილი

ზუგდიდი. ეს მკვირცხლი გოგონა ხიმწიფის ატესტატით მოვიდა ენგურჰესის მშენებლობაზე და კაშხალის ტანში ბეტონის ჩაწყობაზე მომუშავე დიდი კაბელ-ამწეების ოპერატორობა ისწავლა. ოპერატორობა კი პასუხსაგები და მეტად რთული სამუშაოა, მაგრამ დოდო კვარაცხელიამ წლების განმავლობაში კარგად გაართვა თავი ამ ხამუშაოს.

დ. კვარაცხელიამ ოპერატორობასთან ერთად მანქანის მართვაც ისწავლა და იგი სამუშაოდ გადავიდა ამ დიდი მშენებლობის მეექვსე ავტოსატრანსპორტო ხაწარმოში. ერთ წელზე მეტია დოდო კვარაცხელია „ბელაზის“ მარკის 25-ტონიან მანქანას მართავს. სად და სად, რომელ ობიექტზე არ ნახავთ მის ბელაზს ხე-ტყით, არმატურით, ბეტონით დატვირთულს. გოგონა უავარიოდ დააქროლებს მანქანას და მშენებლებს აწვდის საშენ მასალებს. დ. კვარაცხელია სოციალისტური შეჯიბრების არაერთგზის გამარჯვებულია. იგი ყოველდღიურ გეგმებს 120-125 პროცენტით ასრულებს.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხურათზე: დოდო კვარაცხელია.

თ. ფუტკარაძის ფოტო.

ნოგათები სამშობლოს

წლეულს რესპუბლიკის მშრომელებმა კარგად იმუშავეს და ვადამდე შეასრულეს ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის დამზადების წლიური გეგმა, 26.000 ტონის ნაცვლად დამზადებულია 26.185 ტონა.

საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს აგრარულ სამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწველა“ (უფროსი რ. მემარნიშვილი 16.470 ტონის ნაცვლად დაამზადა და სახელმწიფოს მიჰყიდა 18.282 ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახაშის, ლაგოდეხის, მარნეულის, ყვარლის, გალის, გულრიფშის რაიონების მეურნეობა-ქარხნების მშრომელებმა.

ვალდებულების ანგარიშში ეთერზეთების კულტურების დამზადება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გრძელდება, —ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილემ თ. ჯაბადარმა.

მომავლის ანგარიშში

ტყიბული. რკინიგზის ტყიბულის სადგურის (უფროსი მ. ფორჩხიძე) კოლექტივმა ვადაზე 13 დღით ადრე შეასრულა ვაგონების დატვირთვის თერთმეტი თვის სახელმწიფო დავალება. გეგმის გადამეტებით ტყიბულიდან უკვე გაიგზავნა 3 ათას ტონაზე მეტი სხვადასხვა დანიშნულების სახალხო-სამეურნეო ტვირთი. აქაური რკინიგზელები იბრძვიან ვაგონების გადმოტვირთვის დაჩქარებისა და მოცდენის შემცირებისათვის. განვლილ პერიოდში აქ ვაგონების ბრუნვა ნახევარი საათით დაჩქარდა.

ბევრმა რკინიგზელმა პირადი წლიური ნორმა და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება დიდი გადაჭარბებით გაანადგა. ახლა ისინი 1977 წლის იანვარ-თებერვლის ანგარიშში მუშაობენ.

ვ. ციბეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ურჰო კეკონენს

საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად მე გულითადად გილოცავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და მეგობარ ფინელ ხალხს ფინეთის ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს.

ღრმა კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ფინეთი, რომლის სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცნობა საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პირველი აქტი იყო, მტკიცედ აზორციელებს სსრ კავშირთან მეგობრობისა და კეთილმეზობლობის კურსს, თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმის წინსვლაში.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის პოლიტიკური თანამშრომლობის, საგარეოეკონომიური და სხვა ურთიერთობის მიღწეულ მაღალ დონეს, მათს შემდგომ განვითარებას მტკიცედ უზრუნველყოფს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. 1948 წლის ხელშეკრულებით, ყველა მისი დებულებით განსაზღვრული პოლიტიკის შედეგად ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის არსებითი ფაქტორი გახდა და თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ წარმატებით ისწამს ხორცს სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტში ფიქსირებული პრინციპები და შეთანხმებები.

გისურვებთ, ბატონო პრეზიდენტო, შემდგომ წარმატებებს თქვენს სახელმწიფო მოღვაწეობაში, მშვიდობასა და აყვავებას ვუსურვებთ შრომისმოყვარე ფინელ ხალხს.

ლ. ბრეჟნევი ნ. პოდგორნი ა. კოსიგინი

მეგობრულ ბულგარეთში

5 დეკემბერს საბჭოთა კავშირის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი მეთაურობს, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრის, არმიის გენერალის დ. ჯუროვის მიწვევით ოფიციალური მეგობრული ვიზიტით გაემგზავრა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში.

• • •

იმავე დღეს დელეგაცია სოფიაში ჩავიდა. (საკდესი).

ოფიციალური ვიზიტით

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით 6 დეკემბერს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარე პოლკოვნიკი მუამარ კადაფი.

ლიბიის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ტროლეიბუსებზე მ. კადაფის დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სხვა ოფიციალური პირნი.

სტუმარს მიესალმნენ დედაქალაქის, მშრომელთა წარმომადგენლები.

საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი ჩაბარა მუამარ კადაფის. შესრულდა ლიბიის არაბთა რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ნ. ვ. პოდგორნმა და მუამარ კადაფიმ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს.

საპატიო სტუმარი ავტომანქანით მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით გაემართა მისთვის განკუთვნილი რეზიდენციისაკენ.

• • •

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს მუამარ კადაფის პატივსაცემად.

სადღეგრძელოები ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილად იყვნენ ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის თანმხლები პირნი.

ნ. ვ. პოდგორნმა და მ. კადაფიმ სადილზე წარმოთქვეს სიტყვები, რომლებსაც იქ მყოფნი ტაშით შეხვდნენ.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ლიბიის მოლაპარაკება

6 დეკემბერს კრემლში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს და ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის პოლკოვნიკ მუამარ კადაფის მოლაპარაკება.

მეგობრულ ვითარებაში და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარე მოლაპარაკების დროს განიხილეს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-ლიბიის თანამშრომლობის საკითხები. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მტკიცდება და ვითარდება საბჭოთა კავშირისა და ლიბიის არაბთა რესპუბლიკის ხელსაყრელი თანასწორუფლებიანი ურთიერთობა. ორივე მხარემ გამოთქვა მისწრაფება კვლავაც გააფართოოს სსრ კავშირისა და ლიბიის არაბთა რესპუბლიკის თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყველა ღონე იხმაროს ამის ხელშესაწყობად, რომ ახლო აღმოსავლეთში მოხდეს გადამჭრელი შემობრუნება მშვიდობიანი მოწესრიგებისაკენ, რომლის საკვანძო მომენტები იქნება ისრაელის ჯარების გაყვანა 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიებიდან, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების, კერძოდ, საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლების დაკმაყოფილება.

მოლაპარაკება გაგრძელდება.

(საკდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

მოსკოვის დამცველთა მემორიალური ანსამბლი

მოსკოვის ოლქი. ხოფელი ნელიდოვო და რკინიგზის ასაქცევი დუბოსეკოვო მთელი მსოფლიოსათვის არის ცნობილი. აქ პანფილოვის დივიზიის 28 მებრძოლმა პოლიტხელ ვ. გ. კლოჩკოვის მეთაურობით 1941 წლის შემოდგომაზე უკუაქცია ფაშისტთა 50 ტანკისა, რომლებიც ცდილობდნენ ვოლოკოლამსკის გზატკეცილისკენ გამოქრილიყვნენ. თითქმის ყველა მებრძოლი დაიღუპა, მაგრამ მტერი დედაქალაქისაკენ არ გამოუშვეს.

პანფილოველთა გმირობის ადგილზე გახსნილია მემორიალური ანსამბლი. ავტომატებითა და გრანატებით ხელში მკაცრად დგანან მოსკოვის დამცველთა 10-მეტრიანი ფიგურები. ხოფელ ნელიდოვოს ნაპირიდან, სადაც დამარხული არიან მეომრები, მემორიალური ანსამბლისაკენ მიემართება გმირთა ხეივანი. აქვე განლაგებულია გმირ პანფილოველთა მუზეუმი. აუარაცხელია აქ ადამიანთა ნაკადი იმ დღეებში, როცა აღინიშნება პანფილოველთა გმირობის ოცდამეთხუთმეტე წლისთავი. საბჭოთა ადამიანები მოდიან აქ, რომ თავი დაბარონ იმათი ხსოვნის წინაშე, ვინც სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

ხურათზე: ხოფელ ნელიდოვოში გმირ პანფილოველთა მუზეუმის დირექტორი ლ. ნარიდოვა მოსკოვის დამცველთა გმირობაზე მოუთხრობს ხოლნერსოგორსკიდან მოხულ ტურისტებს. პოლიტხელ ვ. ნელ კლოჩკოვის ბიუსტი რუხული ალვისაგან შეასრულა და მუზეუმს უძღვნა მოქანდაკე ს. ლოკმა.

ვ. პოშვიჩის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში გეოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, თეორიული და პრაქტიკული გეოლოგიის დარგში სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 6 დეკემბერი.

პალ ლომონეი თბილისში

6 დეკემბერს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პალ ლომონეი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება ინდოეთში, თბილისში გაჩერდა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ ეროდრომზე პ. ლომონეის და მის თანხლებ პირებს შეხვდნენ და გააცილეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. აბაშიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. დ. კიკნაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ჩხეიძემ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგემ ნ. ი. კიკვაძემ.

მათთან ერთად იყვნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ტ. რიგვავა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ს. გურაბანიძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. ჭიკინაძე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ჩვენი ზვრების რეზერვები

მევენახეებო! მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ ახალწლამდე დარჩენილი ყოველი დღე. გავზარდოთ ზვრების ფართობი. მინიმუმამდე შევამციროთ სიმეჩხრე. მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ უურძნის უხვ მოსავალს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმზე აღინიშნა:

იმისათვის, რომ შემდგომ წლებში აანაზღაურონ მიმდინარე წლის ზარალი, ჩვენმა მევენახეებმა მკვეთრად უნდა გაუმჯობესონ ვენახების მოვლა, იქე უნდა მოიქცნენ, რომ სრიმიური უბედურების, ფიზიკურ ნაკლოვანებანი ყოველი კილოგრამი ყურძენი ხუთწლედის შემდგომ წლებში მოსავლიანობის გადიდების გზით დავიბრუნოთ. ეს ჩვენი მევენახეების, მევენახეობის რაიონების ყველა მუშრომელის საპატიო მოვალეობაა.

ვაზის ჭირიმე, ვაზისა...

გული უნდა ჭეგვტკიოდეს ვაზის მოვლა-პატრონობაზე

ქალაქ ქუთაისში გამართულ მევენახეთა თათბირზე აღინიშნა:

ბევრ სოფელში ცხოვრობენ მევენახეთა ოჯახები, სადაც თაობიდან თაობაში გადადის ვაზის სიყვარული, ღვინის დაყენების „საიდუმლოებანი“. მევენახეობის შემდგომი განვითარება, დიდ ფართობებზე უხვი მოსავლის მოწევა მათ პატრიოტულ მოვალეობად, ღირსების საქმედ მიაჩნიათ.

ყველა ხედავს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო წლებში გადამჭრელი ღონისძიებები ხორციელდება. სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, ვენახს დიდი ყურადღება დაეთმო. დასავლეთ საქართველოში ვაზის მოვლა-პატრონობის გასაუმჯობესებლად ამას წინათ ქუთაისში გამართული თათბირიც ხომ ამ საკითხებს მიეძღვნა! იყო დრო, როცა ვაზი ისეთი პატივისცემით არ სარგებლობდა, როგორც ამ დალოცვილ მცენარეს სჭირდება. უყურადღებობამ სავალალო შედეგი მოგვცა, ზვრები გამეჩხერდა, მოსავალმა მნიშვნელოვნად იკლო, უფრო მეტიც — ზოგან გაპარტახდა კიდეც.

ქართველ კაცს ოდითვე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ვაზის სიყვარული. ყმაწვილკაცობისას ხშირად გამიგონია ხოლმე — ქვეყნის სიკეთე ვენახით მოწმდებაო. და მართლაც — ხოფელში ცხოვრობდე, სოფელში შრომობდე და ვაზი არ ახარო? ეს ხომ პირდაპირ წარმოუდგენელია. მერე და ჩვენი მიწის სიკეთეს აღარ იკითხავთ? კი, მართალია, ბევრი შრომა და გარჯა სჭირდება, მაგრამ თუ კარგად მოუვლი და დაჯაფსენ, ვენახი შრომა-გარჯას ათმაგად და ასმაგად აგიანაზღაურებს. თუ გნებავთ ავიღოთ წლევანდელი წელი. ასეთი ბარაქიანი შემოდგომა იშვიათად თუ გამორეულა. მაიაკოვსკელმა მევენახეებმა ყურძნის სარეკორდო მოსავალი მოვიყვანეთ, სახელმწიფოს მივყიდეთ 16 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. რა მოხდა, ვითომ ბუნებამ გვიწყალობა? არა. დამერწმენეთ, რომ ვაზისათვის ამინდი არახელსაყრელი იყო, მაგრამ ხელი რომ არ დავაკელით, თავის დროზე რომ ვუწამლეთ და მუდამ გვერდში ვუდგეჭით, ვაზმაც ამბარმ გადგახარა. ხომ გაგიგონიათ, „ვაზო ზვილივით ნაზარდო“, სწორედ ადამიანივით ყურადღება სჭირდება ამ დალოცვილს.

ქუთაისში გამართულ თათბირზე მოგახსენებდით. თუ მოვინდომებთ, იმერეთის რაიონებში კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია, ვიდრე ეს განვსაზღვრეთ. ავიღოთ, თუ გნებავთ, მეჩხერიანობის საკითხი. ზოგან ვენახის სიმეჩხრე ოც პროცენტს აღემატება. განა ეს სრულიად არ არის? ვინაც ჩვენი მიწის ყადრი იცის, იგი მოსაცდენად გაიმეტებს მას? სწორედ ამიტომ ოთა ეერმა ჩვენებურმა მევენახემ დუშეკო ახალაძემ რაიონული გაზეთის მეშვეობით ჯერ კიდევ შარშანწინ მოგვიწოდა სიმეჩხრის ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ ყველგან ერთნაირი ენთუზიაზმით როდი გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას. საჭირო კი არის, ყველა ღონე ვიხმაროთ, რომ უახლოეს ორ წელიწადში სიმეჩხრე მთლიანად მოიხსნას.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ ჩვენი ქვეყნის სხვა მშრომელებთან ერთად დიდი სიკეთე გლეხობასაც მოგვიტანა. ახლა ყოველი ჩვენგანი ფიქრობს, რით შეხვდეს დიად დღესასწაულს — ოქტომბრის მე-60 წლისთავს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ წერილით გამოვსულიყავი და მიმემართა სოფლის მშრომელებისათვის. ის, რაც დღემდე გაკეთდა, მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი საქმეებისა, რაც მომავალში მოგვეცალ. მართალია, ყველას გვახარებს მეათე ხუთწლედის პირველი წლის წარმატებანი, მაგრამ ეს საკმარისი როდია. თვითკმაყოფილება დამშვიდებას იწვევს, დამშვიდება კი — ჩავარდნებს. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ყოველი დღე, ყოველი საათი და ყოველი წუთიც კი გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მომავალი წლის შემოდგომა უფრო ხვავიანი და ბარაქიანი იყოს. „ახლა სოფელში ზამთრის სამუშაოები მიმდინარეობს, მალე ახალი წელიც დადგება. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს დღეები უხვი მოსავლის საფუძვლის ჩასაყრელად. მე, როგორც მევენახე, პირველ რიგში მაინც ვენახზე ვფიქრობ. ჩემს თანასოფლელებთან ერთად გადაწყვეტილი გვაქვს არც ერთი გოჯი მიწა არ დავტოვოთ დაუტვირთავი, უახლოეს ხანში მთლიანად მოვსპოთ მეჩხერიანობა და ახალი ზვრებიც გავაშენოთ.

მართალია, ვენახმა ძირითადად კოლმეურნეობაში უნდა იხაროს, მაგრამ ჩემი აზრით საჭიროა მისი მოვლა-პატრონობის საქმე პირადი სარგებლობის საკარმიდამო ნაკვეთებშიც უნდა გავაუმჯობესოთ. განა ქების ღირსი არ არის 80 წლის მაიაკოვსკელი მევენახე შალვა ნებიერიძე? მან ხომ წლეულს საკარმიდამო ვენახიდან 8.200 კილოგრამი ყურძენი ჩაბარა? ბარაქალა მას, ამ ღირსეულ ადამიანს, რომელიც მართლაც რომ შესანიშნავად უვლის ვენახს. მე ვფიქრობ მაიაკოვსკში და არა მარტო მაიაკოვსკში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში არცერთი მოსახლე არ უნდა იყოს, რომელსაც ჭიშკართან სახლამდე კარგი თალარი არ ექნება მოწყობილი. ამისათვის ჩვენ ყველა პირობა გვაქვს.

ერთ საკითხზეც მინდოდა თქვენი ყურადღება გამეამახვილებინა. რატომღაც ახალგაზრდობას ნაკლებად ვიჩვევთ ვაზის სიყვარულს. სოფლები დაიბადა და გაიზარდა კაცი და ვაზის გასხვლა და შეწამლვა არ იცოდეს, ვფიქრობ მიუტევებელია. ამ საქმეში, ალბათ სკოლის ხელმძღვანელებიც სცოდავენ. მე რომ მკითხოთ, ისეთი გატაცება და სიყვარული იცის ვაზმა, ბავშვობიდანვე თუ მას ჩვევად ვაქცევთ, ახალგაზრდობაში ვაზისადმი პატივისცემა უკვე „ავადმყოფობად“ იქცევა. შრომის სიყვარული კი რამდენ ზარმაცს და უქნარას, რომლებიც არც თუ იშვიათად გვხვდებიან ხოფლებში, კაცად გახდის.

ჩვენში ხშირად წუწუნებენ მიწის სიმცირეზე. მაგრამ აბა დავფიქრდეთ — ყველა და ყოველთვის გონივრულად ვიყენებთ მიწას? რასაკვირველია, არა. ადრე ეზო-გარემოს შემოსაკავებლად ბოლწეულსა და თხილნარს ვაშენებდით. სადღა ნახავთ ახლა მას. ბრონეული და თხილი კი მამა-სისხლად ფასობს ბაზარში. უფრო მეტიც. გზების გაყოლებაზე კაკლის დარგვასა და გახარებას რა უნდა, მაგრამ რატომღაც არც ამაზე ვფიქრობთ. ჩვენს რაიონში, დიდი პოეტის მაიაკოვსკის სამშობლოა. ყოველდღე დიდძალი სტუმარი მოდის. სტუმარმა შრომისადმი ჩვენი სიყვარული ყველგან უნდა იგრძნოს, საკოლმეურნეო ბაღ-ვენახებსა, თუ საკარმიდამო ნაკვეთებში. ანდა სტუმარი რა შუაშია, ხაკუთარ თავს ქვა ვკრათ?

ვფიქრობ, ყველანი დამემოწმებით, რომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ისე უნდა მოვაწყოთ საზოგადოებრივი და პირადი მეურნეობა, რომ მოყვარეს გაუხარდეს და ჩვენი ქვეყნის მტერსა და ორგულს თვალი დაეჭეხოს.

კ. ფულარიანი,

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე, ლენინის ორდენოსანი.

1976 წელს

შენდება ვენახები

ვენახების გაშენების მიმდინარეობა 5 დეკემბრისათვის (ჰექტაროობით)

	გეგმა-დავალება	შესრულება
გურჯაანი	2.000	965
წითელწყაროს	2.000	497
სიღნაღი	1.300	726
ყვარელი	1.000	230
საგარეჯო	800	141
თელავი	700	141
ახმეტა	320	208
თერჯოლა	170	86
ზესტაფონი	60	68
ვანი	80	51
მაიაკოვსკი	50	32
სულ რესპუბლიკაში	9.000	3.141

საქართველოს მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.000 ჰექტარისა 9.000 ჰექტარზე მეტ ფართობზე გააშენონ წელს ვენახები.

დრო ცოტა დარჩა, დავჩქარდეთ ახალი ვენახების გაშენების ტემპი, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ხელსაყრელი ამინდები!

მევენახეთა საბრძოლო მიჯნები

□ მეათე ხუთწლედის ბოლო წელს ყურძნის წარმოება გადიდდება 850.000 ტონამდე, ხოლო უახლოეს წლებში — 1 მილიონ ტონამდე.

□ **დასავლეთ საქართველოს რაიონებში ყოველწლიურად შესაძლებელია გაშენდეს 2.500—3.000 ჰექტარი ახალი ვენახი, 1985 წლისათვის ამ ზონაში დამატებით მივიღებთ სულ ცოტა 60.000 ტონა ყურძენს.**

□ დასავლეთ საქართველოში დიდი სიმეჩხრის გამო მეურნეობები წელიწადში 12.000 ტონაზე მეტ ყურძნს კარგავენ. გურჯაანის რაიონში სიმეჩხრე 1.700 ჰექტარს უდრის. ყოველწლიურად 10.000 ტონა ყურძნი იკარგება. გურჯაანის მეურნეობებმა გადაწყვიტეს ორ წელიწადში მინიმუმამდე შეამცირონ სიმეჩხრე და ამით ათეული ათასობით ტონა ყურძენი შემატონ სახელმწიფო მარანს.

გამოცდილება

მკაცრმა ზამთარმა დიდი ზიანი მიაყენა გურჯაანის რაიონის ზვრებს. ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში საგრძნობლად დიდ ფართობზე მოიყინა ვაზი. მათ შორის არის სოფელ ვეჯინის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა, რომლის 414 ჰექტარი მოსავლიანი ვენახიდან ყინვას მხოლოდ ათიოდე ჰექტარი გადაურჩა, დანარჩენი ფართობი კი 80-100 პროცენტიან დაზიანდა.

მეურნეობის 187 ჰექტარი ვენახი, რომელიც მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირის დაბლობში „ინაბოდის“ მიდამოებში მდებარეობს, 100 პროცენტით მოიყინა და ადრე გაზაფხულზე ვაზის შტამბი მიწის პირად გადაჭრეს. ვეჯინელებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყინვით დაზიანებული ვენახების უსწრაფესად აღდგენისა და მდგომარეობის გაუმჯობესების საგანგებო ღონისძიებათა შესახებ, გულდასმით განიხილეს და ზუსტი სამოქმედო გეგმა შეადგინეს. ამ გეგმით წარმართეს მუშაობა. საქართველოს სსრ მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერების მიერ შემუშავებულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის სრულყოფილად განხორციელებისათვის სანერგე მეურნეობის მევენახეები ერთსულოვნად, დიდი მოწადინებით შეუდგნენ მუშაობას. პირველ რიგში ნიადაგი კარგად დაამუშავეს და სასუქებით გაამდიდრეს. ყინვაგამოვლილმა, გადაჭრილმა ვაზმა გაზაფხულზე დიდი რაოდენობით ამოიყარა ყლორტი.

უამინდობის მიუხედავად მევენახეები თანმიმდევრულად და მაღალხარისხოვნად ატარებდნენ ღონისძიებათა სპეციალურ კომპლექსს. მოახდინეს ვაზის ძირებიდან ამონაყარი ყლორტების დანორმირება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ შეამცირეს ზედმეტი ამონაყარი და თითო ძირზე დატოვეს სამი-ოთხი უფრო თამამი და საღი ყლორტი. ეს ოპერაცია სწრაფად, 3-4 დღეში დაამთავრეს.

დატოვებული ყლორტის გაზრდის შემდეგ პირველი მავთულის ზევით 3-4 კვირტზე „ყლორტებს წვერები წაეწყვიტეს. ამან ხელოვნურად გამოიწვია ნამხრევის დაჩქარებით ამოტანა-გაზრდა. ახლად ამოყრილმა ნამხრევებმა კი ყურძნის მტევნები გამოიტანა და არც თუ ცოტა — თვითეულ ვაზზე 8-10 მტევანს ითვლიდნენ მევენახეები.

ასეთი ღონისძიების შედეგად სამუშაოები უფრო შრომატევადი და ხარჯოვანი გახდა. ჩვეულებრივი მწვანე ოპერაციების გარდა საჭირო გახდა დამატებითი ოპერაციების ჩატარება. მძიმე კლიმატურმა პირობებმა ხელსაყრელი გარემოება შექმნა ვაზის უბოროტესი მტრის — ჭრაქისა და ნაცარის გავრცელებისათვის. ასეთ პირობებში მეცნიერების მიღწევებისა და მევენახის მარჯვენის ერთობლივი მოქმედება იყო საჭირო. ვეჯინელებმა ეს კარგად შეიგნეს და დარსა თუ ავდარში ვენახს ინმორდებოდნენ. მანქანები შეუფერხებლად მუშაობდნენ, ამასთან ერთად ზურგზე ამარატმოკიდებული მშრომელები დიდი გულმოდგინებით იბრძოდნენ შხამ-ქიმიკატებით. თერმეტჯერ გახდა საჭირო ვენახის შეწამლა შაბიამნის ხსნარით და ცინებით, ჩვეულებრივ პირობებში კი 5-6 წამლობით კმაყოფილდებოდნენ.

დიდი ყურადღება მოაქციეს ნიადაგის დამუშავებასაც. აგროტექნიკით გათვალისწინებულის გარდა დამატებით ორჯერ ჩაატარეს ნიადაგის კულტივაცია და ვაზის ძირების გამოთოხნა. ამიტომ ზვრებში მთელი წლის განმავლობაში ნიადაგი შავფხვიერ მდგომარეობაში იყო. ვენახი სწრაფად მოღონიერდა. ნამხრევებზე გამოტანილი ყურძენი ვაზმა მთლიანად შეინარჩუნა და ახლა, როცა შეჯამდა მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგარი, მევენახეები გულით ხარობენ: „ინაბოდის“ 187 ჰექტარი ვენახიდან, საიდაც მოსავალს თითქმის სულ არ ელოდნენ, ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერამდე ყურძენი მოკრიფეს, ზოგიერთი ბრიგადის ცალკეულ ნაკვეთებში კი მოსავალმა 40-45 ცენტნერს მიაღწია.

აი, ყურძნის მოსავლის ერთ-ერთი ის დიდი რეზერვი, რომელიც შეიძლება დაკარგულიყო, თუ ვეჯინელი მევენახეები თავდადებით არ ებრძოლებოდნენ მეცნიერების მიერ შემუშავებული აგროტექნიკური კომპლექსის სრულად და მაღალხარისხოვნად განხორციელებისათვის.

ახლა, როცა სულ უფრო სწორდება მევენახეობაში ყინვით მიყენებული ზიანის შედეგები, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დამშვიდება მაინც ნაადრევია. გარკვევით არავინ იცის, თუ ბუნება კიდევ როგის ამბედრდება მევენახეთა წინააღმდეგ. ამიტომ ფართო შესწავლისა და პრაქტიკაში დანერგვის ღირსია საქართველოს სსრ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ შემუშავებული და ვეჯინელ მევენახეთა მიერ პრაქტიკაში დანერგილებული აგროტექნიკური ღონისძიებების სპეციალური კომპლექსი, რომელმაც შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

ა. თვალიაშვილი,

„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

ასე დაამარცხეს ყინვა

გაიმარჯვა მეცნიერებამ და კაცის მარჯვენამ

ციცქას დიდი მტევნები

ასე გამოვიყვანეთ უხვმოსავლიანი ნერგები

უხვმოსავლიანი ციცქას ერთი სახეობა აღმოვაჩინეთ 1971 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ღილოკოურში, კოლმეურნე კალისტრატე ფერაძის საკარმიდამო ნაკვეთში. ციცქას ერთ ძირ ვაზზე ერთ ყლორტს ესხა განსხვავებული დიდი მტევნები. მომდევნო წლებში ამ ყლორტის კვირტებიდან მოვამრავლეთ ამ სახეობის ციცქას ნერგები. ახლა 180 ძირი უხვმოსავლიანი ციცქა გვაქვს. აქედან სამწლიანია 39, ორწლიანი — 41 და ერთწლიანი — 100 ვაზი.

ახალი, მაღალმოსავლიანი ციცქას ვარიაცია გარეგნული (მორფოლოგიური) ნიშნებით (ფოთოლი, რქა) ტიპიური ციცქაა, ხოლო მტევნები, ჩვეულებრივ ციცქასთან შედარებით, დაახლოებით 2,5-ჯერ მეტი წონისაა. მაგალითად, 1975 წელს ჩვეულებრივი ციცქას მტევნის საშუალო წონა 93,7 გრამი იყო, ხოლო უხვმოსავლიანი ციცქასი — 235,2 გრამი. წლეულს კი ჩვეულებრივი ციცქას მტევნის საშუალო წონა 51,6 გრამიდან 160,0 გრამამდე მერყეობდა, ხოლო მაღალმოსავლიანი ციცქასი კი — 119-დან 500 გრამამდე.

ციცქას უხვმოსავლიანი ვაზი ყვავილობას ჩვეულებრივ ციცქასთან შედარებით 18-20 დღით გვიან იწყებს, ხოლო სიმწიფეს — 12-16 დღით გვიან, როგორც ვხედავთ ყურძნის მოსავალი უხვმოსავლიან ციცქაზე თითქმის 2-2,5-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ციცქასი.

წლეულს დამზადდა საცდელი ნიმუშები, რომლებსაც გაეკეთდება ანალიზები და ჩატარდება დეგუსტაციური შეფასება. ასე, რომ როცა მყნობას ვიწყებთ კვირტის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ჩვენი წინადადებაა სანერგე მეურნეობებმა ამ საქმეს მეტი გულმოდგინებით მოჰკიდონ ხელი.

ბ. გაფრინდაშვილი,

ხაჭარის ხაცდელი სადგურის დირექტორი, ხოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

გიყვარდეთ ვაზი!

თქვენ მოგმართავთ, ახალგაზრდებო!

□

ვაზი, ეს დალოცვილი მცენარე ისე მიყვარს დღენიადაგ, ზამთარ-ზაფხულს, გაზაფხულ-შემოდგომაზე სულ მასთან ყოფნა მინდა. უვაზოდ გაძლება არ შემიძლია. მე ამას მთელი გულით ვლაპარაკობ და მოვუწოდებ ახალგაზრდებს მათაც შეიყვარონ ვაზი — ჩვენი დამპურებელი და დამვაჟკაცებელი, დამაკორწინებელი, მართლაც სიუხვის დაუშრეტელი წყარო.

ხანდაზმული ჭაცი ვარ, მაგრამ წინა ხუთწლედში გაპიროვნებულ ვენახში სარკეორდო მოსავალი მივიღე. წლეულსაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 140 ცენტნერი ყურძენი მოვიწიე და ოჯახიც გავახარე და სოფელიც.

ახალგაზრდებო, გიყვარდეთ ვაზი, მოუარეთ როგორც საკუთარ თვალისჩინს.

ს. წაქაძე,

ზესტაფონის რაიონის მეორე ხვირთა ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე.

წინადადებები

წლეულს — 400 ჰექტარზე!

თერჯოლა. (ხაკ. კორ.). უხვმოსავლიანი რთველი დამთავრდა. სახელმწიფოს 22 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მიეყიდა. ეს სარეკორდო ციფრია აქაური მეზვრეთა ზრამიოს ისტორიაში. ახლა მეტი საზრუნავი გაუჩნდათ რაიონის მშრომელებს. მათი ახალი ამოცანა ის არის, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის ორჯერ გაზარდონ ყურძნის მოსავალი. ამ მიზნით, გათვალისწინებულია უახლოეს წლებში დამატებით კიდევ გაშენდეს 2.000 ჰექტარი ახალი ვენახი, ამასთან უნდა ადადგინონ გამეჩხერებული და ამორტიზებული ზვრები.

თერჯოლელებმა გეგმა დავალება არ იკმარეს, ისინი წლეულს 400 ჰექტარი ახალი ვენახის გაშენებას ვარაუდობენ. მომზადებულია პლატაჟი 345 ჰექტარზე. ახალი ვენახები უკვე გაშენებულია 86 ჰექტარზე. კარგად იმუშავეს რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. 70 ჰექტარ საკენახედ დაპლანტაჟებულ ფართობზე მიმდინარეობს გადახვნა, ზედაპირის მოსწორება და დაგეგმვა. ეს სამუშაო სწრაფად მიმდინარეობს ალისუბნის, თუზის, საბაანოს, სიქთარვის, ძეგრის, ზედა სიმონეთის კოლმეურნეობებში და თერჯოლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში.

საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადებში შესრულებისათვის თერჯოლის რაიონის მევენახეებმა აქედანვე ემზადებიან. მათ კარგად იციან, რომ ყოველი სამუშაოს მაღალხარისხოვნად შესრულება დიდი რეზერვია.

რაიონში დიდი მუშაობა გასწიეს ვაზის ხარისხოვანი ნერგის გამოყვანისათვის. ადგილობრივ სანერგე მეურნეობებში 900 ათას ძირ ვაზის ნერგს ელოდებიან, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რაიონის ხოზოგადოებრივ მეურნეობებს დახმარება უნდა აღმოუჩინოს საჭირო ნერგის მომარაგებაში.

თერჯოლელი მევენახეები ახალი ზვრების გაშენების პარალელურად დიდ ყურადღებას აქცევენ ვენახებში ზამთრის სამუშაოთა აგროვადებში ჩატარების საკითხს. ახლა ზვრებში ბევრი მევენახე გულდაგულ შრომობს, ხავენ მიწას, აწვენენ ვაზს, ავსებენ მეჩხერ ადგილებს, ყველფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წლის რთველი უფრო ბარაქიანი იყოს.

ო. ნიქაბაძე.

მეცნიერ-მუშაკები გვთავაზობენ

მხოლოდ უხვმოსავლიანი!

ინტენსიური გაკვითარების გზები

მეათე ხუთწლედის პირველი წელი მიიწურა. ქართველ მევენახეთა წინაშე გრანდიოზული ამოცანებია დასახული. საზოგადოებრივი მეურნეობების ვენახების ფართობი 151 ათას ჰექტარამდე უნდა გადიდდეს და რესპუბლიკის ზვრებიდან 1980 წლისათვის 850 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი უნდა აწარმოონ. ვენახების ფართობების გადიდება იმერეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, უნდა დაიგეგმოს, რადგან აქ ვაზის კულტურის უკეთ განვითარებისა და უხვი მოსავლის მიღების საუკეთესო პირობებია.

ცნობილია, რომ გაისისათვის ვენახების ფართობის გადიდებას და ყურძნის მოსავლის სიუხვეს აქედანვე ეყრება საფუძველი. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას. იმსახურებს გამოუყენებელი მიწების მთლიანად ათვისება, რომლებიც ცალკეულ მეურნეობებს მუდმივ სარგებლობაში აქვთ გადაცემული და რომელთა საკმაო ნაწილი ჯერ კიდევ ბუჩქარებს უჭირავს. სწორედ ამ ფართობებზე შეიძლება ვენახების წარმატებით გაშენება და ყურძნის უხვი მოსავლის მიღება. ახალი მიწების ათვისება მექანიზაციის გონივრულად გამოყენებით უნდა მოხდეს. ამისათვის შესაფერისმა სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა და რესპუბლიკის საკონსტრუქტორო ბიუროებმა უნდა უზრუნველყონ მევენახეობის თვითეული რაიონის ნიადაგური პირობების შესაბამისი, წინაამდეგობის ამტანი სპლანტაჟე გუთნების შექმნა და მასობრივი გამოშვება.

ხარისხოვანი ნერგის მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კარგად ორგანიზებულ სანერგე მეურნეობას. ცნობილია, რომ მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უნდა გააკეთონ 613 მილიონი პირველი ხარისხის ნამყენი. ამ გრანდიოზული დავალების შესასრულებლად და დარგული ნერგის უკეთ გასახარებლად საჭიროა ნიადაგის პლანტაჟი ჩატარდეს ვაზის დარგვამდე 3-4 თვით ადრე, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს ჰექტარზე 50-60 ტონა გადამწვარი ნაკელის შეტანა.

აგროკომპლექსით გათვალისწინებულ მრავალ ღონისძიებათა შორის სანერგეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სანამყენოდან განვითარებული ფესვების შეჭრას, რაც რაიონის ზოგ მეურნეობაში უგულებელყოფილია და ამ მიზეზით სანერგეებიდან მიღებული პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგის გამოსავლიანობის პროცენტი მეტად მცირე.

მუშაობა იმდაგვარად უნდა გარდაიქმნას, რომ 60-70 პროცენტი პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგი მივიღოთ. გარდა ამისა საჭირო იქნება ყველა საზოგადოებრივ მეურნეობასთან შეიქმნას არანაკლებ 10 ჰექტარიანი ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადედე.

საძირე მასალის უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად აუცილებელია სადედის ყველა მეურნეობაში ფართოდ დაინერგოს ვაზის შპალერებად გაზრდის მეთოდი. საძირე მასალის სიუხვისა და მაღალხარისხოვანი ნერგის მიღების უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყველა მეურნეობასთან ცალკე ჩამოყალიბდეს სადედე-სანერგის ბრიგადა და წახალისების მიზნით მათი შრომის ანაზღაურება ნერგის პროცენტული გამოსავლიანობის მიხედვით მოხდეს.

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ყურძნის მცირე მოსავლიანობა იმის შედეგია, რომ აგროღონისძიებათა ცალკეული საკითხები სათანადო დონეზე არ წყდება. ამას განსაკუთრებით უწყობს ხელს ვენახებში გაცდენილი ადგილების მაღალი პროცენტი (საშუალოდ 20-23 პროცენტი). სამწუხაროდ, ზოგიერთ მეურნეობაში ვაზის სიმეჩხერე 40 პროცენტსაც კი აღწევს. მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის 1.200 ჰექტარიან ზვრებს სიმეჩხრის გამო 400 ჰექტარი აკლია. უფრო ცუდ მდგომარეობაა გორის, ქარელის და სხვა რაიონების ზოგიერთ მეურნეობაში.

რესპუბლიკის ვენახებში ვაზის სიმეჩხრის გამო ყოველწლიურად იკარგება 60 ათას ტონამდე ყურძენი, სიმეჩხრის მოსპობის აუცილებელი პირობაა ახალშენ ვენახებში ერთწლიანი ნერგის გამორგვა, ხოლო მსხმოიარე ვენახებში ჩვეულებრივი მშრალი, აგრეთვე მწვანე გადაწვენის წესებისა და მჩრის გაგრძელების მასობრივად გამოყენება.

ვენახების გაშენებისა და შემდგომი შოვლა-პატრონობის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ სამუშაო პროცესების მექანიზაციის დონეს. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. მექანიზაციისა და სხვა შესაბამისმა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა უნდა შექმნან ვენახის მწკრივებში ნიადაგის დამმუშავებელი, ვაზის დამრგველი, ვაზის გადასაწვენი, წვერების წასაწყვეტი, შპალერის ბომწყობი და სხვა საჭირო მანქანები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამჟამად ჩვენს ხელთ არსებულ მანქანა-იარაღების მაქსიმალურ გამოყენებას და მათ წესიერ შენახვას. წახალისებისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შრომითი ანაზღაურება უნდა მოხდეს ტექნიკის მოვლისა და მათი სამუშაოდ მზადყოფნის მიხედვით.

მეცნიერებისა და წარმოების მტკიცე კავშირისათვის მევენახეობის ცალკეულ სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში და მაღალ დონეზე ჩატარების, აგრეთვე ღვინის მაღალი ტექნოლოგიით წარმოებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან ცალკეულ რაიონებს მივუჩინოთ თეორიისა და პრაქტიკას კარგად დაუფლებული გამოცდილი მეცნიერი მუშაკები, რომელთა უშალო კონსულტაციით გადაიჭრება აგროკომპლექსის ცალკეული საკითხები.

ა. ხელაშვილი,

დოცენტი, ხოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ქვლავ ზვრებში

ყურძნის უხვი მოსავლის ერთ-ერთი ძირითადი პირობა ვენახებში სახუქების დროულად, აგროწესების დაცვით შეტანა და მიწის საგულდაგულოდ დამუშავებაა.

საქართველოს მევენახეობის რაიონებში ახლა სახუქების შეტანა და რიგთაშორისი მიწის დამუშავება მანქანების დახმარებით მიმდინარეობს. მეზვრეები საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს. მიწის სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს გურჯაანის, ხიღნაღის, საგარეჯოს, წითელწყაროს, მცხეთის, ყვარლის, გარდაბნის, თერჯოლის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის და სხვა რაიონებში.

ზამთრის ხელსაყრელ ამინდებს კარგად იყენებენ საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები, რიგთა შორის ხნავენ მიწას, შეაქვთ სახუქები. ხურამზე: რიგთა შორის მიწის დამუშავება მანავის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში.

ჯილდოები ღირსეულთ

პროფესიულ-ტექნიკური განათლების მოწინავენი

საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება იმის შესახებ, **რომ** გარდამავალი წითელი დროშებით, მეთე ხუთწლედის საპატიო ვიმპელებითა და საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ "ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, რაიონები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, განათლების განყოფილებები, საბაზო და სხვა ორგანიზაციები. რომლებმაც ორგანიზებულად დიაწყეს ახალი 1976-1977 სასწავლო წელი რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში და წარმატებებს მიაღწიეს მოსწავლეთა მიღების გეგმის შესრულების საქმეში.

რესპუბლიკის პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭათ აჭარის ას რესპუბლიკას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ქალაქ ჭიათურას, გორის, წულუკიძის, ხობის, თელავის, ყვარლის რაიონებსა და ქალაქ თბილისის ლენინის რაიონს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ ქარხანას, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანას, წალენჯიხის რაიონის ჯვრის სასოფლო საბჭოს, თბილისის 107 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის განათლების განყოფილებებს, ტყიბულის, ვანის, ხაშურის შრომითი რესურსების განყოფილებებს, ქალაქ ბათუმის № 1, სოფელ ენსილის № 2, ქალაქ წულუკიძის № 9, ქალაქ თბილისის № 18 საშუალო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, თბილისის № 26 და № 31 ტექნიკურ სასწავლებლებს და სხვ. ხუთწლედის საპატიო ვიმპელებით დაჯილდოვდნენ წულუკიძის № 3 საშუალო სკოლა, გარდაბნის აზერბაიჯანული საშუალო სკოლა, ყაზბეგის სადაბო საბჭო, ჩოხატაურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი, წყალტუბოს განათლების განყოფილება, „ცეკავშირის" გამგეობა, თბილისის № 6 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, მთელი რიგი სხვა სკოლები და ინტერნატები, მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოები, საბაზო ორგანიზაციები, განათლების განყოფილებები, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები და სხვ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით ახალი სასწავლო წლის ორგანიზებული დაწყებისა და მოსწავლეთა ახალი კონტინგენტის მიღების გეგმის დროული შესრულებისათვის ნაყოფიერი მუშაობის გამო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ ქალაქები რუსთავი, ტყიბული, ზუგდიდი, ზესტაფონის, ლაგოდეხის, გალის, გურჯაანის, გარდაბნის რაიონები, „ამიერკავკასიის „ელექტროქსელმშენის" ტრესტი, ქალაქ ქუთაისის № 4, ქალაქ თბილისის № 5 და № 11, გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის № 15 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები, ქალაქ თბილისის № 35 ტექნიკური სასწავლებელი.

საპატიო წიგნში შეიტანეს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვეს რუსთავის № 3 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ქალაქ ფოთის ზოგიერთი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა საპატიო სიგელებით დაჯილდოვეს ქალაქ თბილისის საქარხნო, 26 კომისრის სახელობის, ოქტომბრის რაიონები, საქართველოს სახლვაო სანაოსნოს სამმართველო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო, ბევრი რესპუბლიკური და რაიონული გაზეთი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების სახელმწიფო კომიტეტი. (საქინფორმი).

დევიზი: მშვიდობა და მეგობრობა

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების 30 წლისთავი

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა აღნიშნავს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დაარსების 30 წლისთავს.

ამ მოვლენას მიეძღვნა საზოგადოების გამგეობის სხეიმი სხდომა, რომელიც 6 დეკემბერს გაიმართა. სხდომაში მონაწილეობდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების კოლექტივების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ჩერქეზიამ.**

შეკრებილებმა დიდი აღმავლობით აღინიშნა საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოთათან ურთიერთობის განყოფილების გამგეს **ნ. კაკაბაძეს.** მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის რესპუბლიკური საზოგადოებისადმი. დამსწრენი მისალმების ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

რრბიუნაზეა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.** მან წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის და ოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საზოგადოების დაჯილდოების შესახებ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. მელაძემ.**

მომხსენებელმა დაახასიათა საზოგადოების მრავალმხრივი საქმიანობა. განვლილ წლებში იგი ორგანიზაციულად გაიზარდა და განმტკიცდა. დღეს საქართველოში მუშაობს მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების 30 რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური განყოფილება.

საზღვარგარეთთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის რესპუბლიკური საზოგადოება ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა ამისათვის, რომ ფართოდ გააცნოს საზღვარგარეთის საზოგადოებრიობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რესპუბლიკის მშრომელთა ისტორიული მიღწევები, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში მოიპოვა სკკპ ბრძნული ლენინური ერთნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად.

საზღვარგარეთის 75-ზე მეტ ქვეყანაში საქართველოს საზოგადოებამ საბჭოთა კულტურულ ცენტრებს, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის საზლებს, საბჭოთა კავშირთან მეგობრობის საზოგადოებებს, ცალკეულ პროგრესულ ორგანიზაციებსა და საზოგადო მოღვაწეებს ათასობით საინფორმაციო მასალა დაუგზავნა საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომისა და მიღწევების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმატებათა შესახებ.

მომხსენებელმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირის დღეებზე, რომლებიც საქართველოს სსრ მონაწილეობით გაიმართა პოლონეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, შეეხო საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილ სხვადასხვა კომპლექსურ ღონისძიებებს, რომლებიც მოეწყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ავსტრიაში, დანიაში, ბელგიაში, სირიასა და სხვა ქვეყნებში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ პოლონეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთის კულტურის დღეების, იტალიური კულტურის კვირეულის მონაწილეებს.

სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამეგობის თავმჯდომარემ **გ. აბაშიძემ,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა, საწარმოო გაერთიანება „ცრწანისის" მუშამ **მ. აბულაძემ,** პროფესორმა **მ. ლორთქიფანიძემ** თქვეს, რომ საზოგადოების საქმიანობაზე კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა პრინციპულობისა და ერთმანეთისადმი მომთხოვნელობის ვითარებამ, რომელიც უკანასკნელ წლებში შეიქმნა რესპუბლიკაში პარტიულ-ორგანიზაციებსა [illegible] შაობის დონის [illegible] ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური ინსტიტუტის [illegible] საქმიანობის [illegible]

რესპუბლიკის [illegible] ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ნ. გურაბანიძემ,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ი. ორჯონიკიძემ,** ისევე როგორც სხვა ორატორებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრაქტიკულ საქმიანობაში მკაფიოდ აისახა რესპუბლიკაში მიმდინარე დიდი პრინციპული მნიშვნელობის დადებითი პროცესები, რომლებიც საფუძვლიანად არის გაანალიზებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ". ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში წამოყენებული დებულებები და ამოცანები მოქმედების სახელმძღვანელოა საზოგადოებისათვის.

საზეიმო სხდომაზე წაიკითხეს მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის დადგენილება საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივისტთა საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ყველა აქტივისტისადმი. (საქინფორმი).

6 დეკემბერი

ფაქტები, პრობლემები

ქსოფლიოს პანჯარა

საკადესის კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის საკაგენტოები იუწყებიან

გენერალური ასამბლეის სესიაზე

მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის ინიციატივებს

ნიუ-იორკი, (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველმა კომიტეტმა მოიწონა რეზოლუცია ბუნებრივ გარემოსა და კლიმატზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო და სხვა რაიმე მტრული გამოყენების აკრძალვის შესახებ კონვენციის დადების თაობაზე. ასეთი კონვენციის დადების ინიციატორია საბჭოთა კავშირი. რეზოლუციას მხარი დაუჭირეს 89 სოციალისტურმა და განვითარებადმა სახელმწიფომ, აგრეთვე დასავლეთის მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის აშშ და ინგლისმა.

რეზოლუცია გამოხატავს „ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან სხვა რაიმე მტრული გამოყენების საფრთხის თავიდან აცილების მტკიცე გადაწყვეტილებას". რეზოლუციაში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ „სახელმწიფოთა ფართო მონაწილეობა ამ კონვენციაში „ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებასა და ომის საფრთხის აღმოფხვრას".

რეზოლუცია რეკომენდაციას აძლევს ყველა სახელმწიფოს განიხილონ, ხელი მოაწერონ და დაამტკიცონ კონვენცია ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან სხვა რაიმე მტრული გამოყენების აკრძალვის შესახებ. მისი თანაავტორები სთხოვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივანს, როგორც კონფერენციის დეპოზიტარს, რამდენადაც შეიძლება უახლოეს დროს გახსნას იგი ხელმოწერისა და რატიფიკაციისათვის და გამოთქვამენ იმედს, რომ მას შეუერთდება რაც შეიძლება მეტი ქვეყანა.

გმოგენ ხუნტის მანევრებს

ნიუ-იორკი. (საკადესი). სსრ კავშირის დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე ხესიაზე მოითხოვა ჩილეში ტერორისა და რეპრესიების შეწყვეტა და ყველა პოლიტპატიმრის განთავისუფლება.

ჩილეს ხუნტა, ნათქვამია დელეგაციის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში, ცდილობს მოატყუოს მსოფლიოს საზოგადოებრიობა და ამტკიცებს, თითქოს ათავისუფლებს თითქმის ყველა პოლიტიკურ პატიმარს. ამ ხერხს მან იმ მომენტში მიმართა, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იხილავენ ჩილეში ტერორის, დევნის, დაპატიმრების და ადამიანის უფლებათა სისტემატური დარღვევის საკითხს, როცა მთელმა მსოფლიომ შეიტყო, ხუნტის დანაშაულის დამამტკიცებელი იტყუარი მონაცემები, რასაც შეიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფის მოხსენება. ხუნტის გადაწყვეტილება განთავისუფლების შესახებ მხოლოდ სამასამდე კაცს ეხება. ამავე დროს ქვეყნის სასამართლოებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯება ათასობით პატიმარი.

საბჭოთა დელეგაციის განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ არ შეიძლება მსოფლიოს საზოგადოებრიობის კანონიერი აღშფოთება არ გამოიწვიოს ჩილეს ხელისუფალთა უარმა, რომლებმაც მსოფლიოს საზოგადოებრიობის უფართოესი წრეების მოთხოვნის მიუხედავად, გადაწყვეტეს არ გაათავისუფლონ ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი სენატორი ლუის კორვალანი.

ნამგიის თავისუფლებისათვის

ნიუ-იორკი. (საკადესი). თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ნამბიელი ხალხის ბრძოლისადმი საერთაშორისო გაერთიანების მზარდ სოლიდარობას მოწმობს დიხკუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე კომიტეტში, რომელიც განაგრძობს ნამიბიის მდგომარეობის საკითხის განხილვას. დისკუსიის მონაწილენი ხაზს უსვამენ, რომ სამხრეთაფრიკელ ოკუპანტთა მხეცური მოქმედება ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების აღმაშფოთებელი დარღვევაა.

საკადესი

ტელეტაიპის ლენტიდან

მოითხოვეს გადადგომა

● **კოპენჰაგენი.** ისლანდიის პროფკავშირების გაერთიანებამ ისლანდიის მთავრობას მოსთხოვა გადადგეს და დანაშნოს პარლამენტის არჩევნები. გაერთიანების მიერ გავრცელებულ რეზოლუციაში, წერს დანიის გაზეთი „ლანგ ოგ ფოლკი", ნათქვამია, რომ კოალიციურ მთავრობას, რომელშიც დამოუკიდებლობის პარტიისა და პროგრესული პარტიის წარმომადგენლები შედიან, არ ძალუძს გადაწყვეტოს ქვეყნის ეკონომიური პრობლემები და ცდილობს მშრომელთა ხარჯზე დაალწიოს თავი კრიზისს.

გაერთიანებამ მოითხოვა აგრეთვე ბუკმენდულ კუნძულის ტერიტორიაზე ამერიკის კეფლავიკის სამხედრო ბაზა.

ამერიკის კაპიტალი ინგლისში

● **ლონდონი.** ამერიკის კერძო კაპიტალის შეღწევამ დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში იმდენად ინტენსიური ხასიათი მიიღო, რომ ქვეყნის ზოგიერთ რაიონში თითქმის ყოველი მეორე მუშა დასაქმებულია საწარმოებში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ამა თუ იმ კომპანიის კონტროლს ექვემდებარებიან. ეს ნათქვამია მანჩესტერის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის სპეციალურ მოხსენებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

დასავლეთის ხახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა, შეერთებული შტატები, განაცხადა კუბის წარმომადგენელმა რ. ალარკონ დე კესადამ, ყოველნაირად ცდილობენ არ დაუშვან რეჟიმის გარდუვალი კრახი. ფორსტერის რეჟიმისათვის მათი უკანონო ეკონომიური, ფინანსური და ხამხედრო დახმარება, უეჭველია, ხელს უწყობს ხელისუფლების ხათავეში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტთა ყოფნას.

სამხრეთაფრიკელი რასისტებისა და მათი დასავლელი მფარველების მანევრები გადაჭრით დაგმეს ეორდანიის, ხარეის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, შრილანკის, ხუდანის წარმომადგენლებმა.

რ. არისმენდის განცხადება

ბერლინი. (საკადესი). ურუგვაი ღრმა კრიზისმა მოიცვა, აღნიშნა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდისათვის" მიცემულ ინტერვიუში ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა როდნეი არისმენდიმ. ქვეყნის ეკონომიკა სერიოზულ სიძნელეებს განიცდის, დღენიადაგ იზრდება სიძვირე. ქვეყნის საგარეო დავალიანებამ 1500 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ათასობით ადამიანი იტანჯება დილეგებში. ნახევარ მილიონზე მეტი ურუგვაელი, მათ შორის მუშები, ტექნიკოსები, მეცნიერები, სტუდენტები იძულებული არიან სხვა ქვეყნებში ეძებონ თავშესაფარი. ასეთია იმ პოლიტიკის შედეგი, რომელსაც ურუგვაის ხელისუფალნი ახორციელებენ უკანასკნელი 3,5 წლის განმავლობაში.

ურუგვაის რეჟიმის კურსი, რომელიც მიზნად ისახავს კავშირს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტურ კაპიტალთან, პინოჩეტის ხუნტასთან და სამხრეთაფრიკელ რასისტებთან, აღნიშნა რ. არისმენდიმ, იწვევს მის მზარდ იზოლაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

მეგობრობა და ურთიერთგაგება

მექსიკო. (საკადესი). მექსიკის ახალმა პრეზიდენტმა ხოსე ლოპეს პორტილომ მიიღო საბჭოთა კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ბ. ვ. გილაშვილის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა ღონისძიებებში, რომლებიც გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ ხოსე ლოპეს პორტილიო შეუდგა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მექსიკის სახელმწიფოს მეთაურმა კმაყოფილება გამოთქვა მექსიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობის გამო. მან განაცხადა, რომ ამ ურთიერთობას ახასიათებს მეგობრობა და ურთიერთგაგება. მექსიკისა და სსრ კავშირის ხალხებსა და მთავრობებს განსაკუთრებით აახლოებს მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავების საერთო საქმე.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეიქმნა ორი ქვეყნის ყოველმხრივი ურთიერთობის განვითარების ხელშემწყობი პირობები, კერძოდ, ხელმოწერილია დიდმნიშვნელოვანი ფუძემდებელი შეთანხმებანი თანაშრომლობის შესახებ. ჩვენ ძალზე დაინტერესებული ვართ, რომ განვავითაროთ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ხაზგასმით აღნიშნა მან.

მდგომარეობა ლიბანში

ბეირუთი, (საკადესი). ლიბანის პრეზიდენტი ი. სარკისი აქტიურ კონსულტაციებს აწარმოებს პოლიტიკურ ლიდერებთან, რომლებიც ქვეყნის საქმიან და ფიფანსურ წრეებს წარმოადგენენ. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ყურადღების ცენტრშია საკითხი ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით ქვეყნის ომისშემდგომი აღდგენის შესახებ. იხილავენ აგრეთვე ახალი მთავრობის წევრთა კანდიდატურებს, რომელიც ადგილობრივი მიმომხილველების აზრით, ძირითადად ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან იქნება შემდგარი.

განახლდა ლიბანის საქმიანი აქტივობაც, რომელიც მთლიანად მოშლილი იყო სამოქალაქო ომის 19 თვის მანძილზე. მიმდინარეობს ბეირუთის საზღვაო ნავსადგურის აღდგენის სამუშაოები, რეიდზე გამოჩნდნენ პირველი სატვირთო გემები.

ლიბანში მშვიდობის აღდგენის სწრაფ პროცესს ცდილობენ ხელი შეუშალონ ცალკეულმა ტერორისტულმა ჯგუფებმა. გუშინ დღის მეორე ნახევარში დასავლეთი ბეირუთის ერთ-ერთ რაიონში ლიბანის პროგრესული სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის ჯ. ჯუმბლათის სახლიდან დაახლოებით ას მეტრზე აფეთქება მოხდა. არიან დახოცილნი და დაჭრილნი. თვით ჯუმბლათი ამ დროს ქალაქში არ ყოფილა. უშიშროების ძალებმა დაჭრილებს დახმარება აღმოუჩინეს და სწრაფად აღადგინეს წესრიგი.

ფინეთის ეროვნული დღესასწაული

ჩვენს მეზობელ ფინეთში

1917 წელს მოხდა ორი მოვლენა, რომლებმაც ისტორიული როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ხალხების ცხოვრებაში და რომლებიც უშუალოდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. დიდმა ოქტომბერმა დაიწყო ახალი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში, სოციალისტური რევოლუციების ეპოქა. მან გამოაცხადა ერების შორის ურთიერთობის ახალი — დემოკრატიული, სამართლიანი — პრინციპები. იმავე 1917 წლის 6 დეკემბერს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით ყოველგვარი პირობის დაუთქმელად ცნო ფინეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობა. „დიდი ოქტომბრის გამარჯვებით ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. ეს არ გაუკეთებიათ არც ესერებს, არც მენშევიკებს, რომ არაფერი ვთქვათ მეფის მთავრობასა და მისი ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკაზე. მხოლოდ ბოლშევიკების პარტიის მიერ ეროვნულ საკითხში განხორციელებული პოლიტიკის წყალობით გახდა ფინეთი დამოუკიდებელი", — განაცხადა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში „ფინეთის მშვიდობის მომხრეთა" ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, პარლამენტის დეპუტატმა მირიამ ვირე-ტუომინენმა.

მას შემდეგ ფინეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა სულ უფრო მტკიცდება და ვითარდება. ამ ურთიერთობის გაღრმავებას ახალი სტიმული მისცა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულებამ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც 1948 წელს დაიდო. ამ დოკუმენტმა შექმნა ის საიმედო საძირკველი, რომელსაც ეყრდნობოდა და მომავალშიც დაეყრდნობა ჩვენი ურთიერთობა პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

• • •



სურათებზე: (ზემოთ) — **პრეზიდენტის სახახლე ქვეყნის დედაქალაქ ჰელსინკში;** (ქვემოთ) — **„ვალმეტის" ვემოსაშენში წყალში ჩაუშვეს მეორე უდიდესი სატვირთო თბომავალი „კომსომოლსკი". პირველი — „მაგნიტოგორსკი" საბჭოთა კავშირს გადაეცა შარშან გაზაფხულზე.**

ეს ხომალდები გათვალისწინებულია ტექნიკის გადასაზიდად. „კომსომოლსკი" მოემსახურება ბალტიის ხაზღვაო სანაოსნოს.

საკადესის ფოტო.

მეცნიერების ჰორიზონტები

ძიება და ფედეგები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტი 50 წლისაა

50 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებლის ა. ჯანელიძის მიერ, სერგო ორჯონიკიძის დახმარებით, შეიქმნა გეოლოგიური ინსტიტუტი. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ა. თვალჭრელიძე, კ. გაბუნია და გრ. წულუკიძე, რომლებიც იმ დროს თბილისში ფართო და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც დღეს იწყება თბილისში.

ინსტიტუტის დაარსების დღიდან მის ძირითად მიზანს საქართველოში გეოლოგიური მეცნიერების საფუძვლების შექმნა წარმოადგენდა.

ინსტიტუტს აქვს მონოგრაფიული პალეონტოლოგიური მუზეუში, რომელშიც ფაუნის უნიკალური კოლექციებია დაცული. თვით პალეონტოლოგიურ-სტრატიგრაფიული გამოკვლევები მაღალ დონეზეა დაყენებული. ამ საქმის დამწყები აკადემიკოსი ა. ჯანელიძე იყო, რომელმაც პალეონტოლოგიური კვლევები დაიწყო ჯერ კიდევ ინსტიტუტის დაარსებამდე, ყაზანის უნივერსიტეტში და საფრანგეთში, შემდეგ გააგრძელა საქართველოში და შექმნა კლასიკური შრომები, მათ შორის მონოგრაფიებიც.

ფართო მასშტაბის რეგიონულ-გეოლოგიური გამოკვლევების შედეგად გამოქვეყნებულია მრავალი ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიული ხასიათისაც, რომელშიც გაშუქებულია საქართველოს ცალკეული რეგიონების და საერთოდ მთელი საქართველოს სტრატიგრაფია, ტექტონიკა და გეოლოგიური განვითარების ისტორია. შედგენილია სხვადასხვა მასშტაბის გეოლოგიური და ტექტონიკური, მათ შორის საქართველოს გეოლოგიური და ტექტონიკური რუკები. რეგიონული გეოლოგიური კვლევების თვალსაჩინო შედეგად უნდა ჩაითვალოს შემაჯამებელი კაპიტალური ნაშრომი „საქართველოს სსრ გეოლოგიური აღწერა" (სერია სსრკ გეოლოგია, ტ. X), რომლის შექმნაში ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი იღებდა მონაწილეობას და რომელმაც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიი დაიმსახურა.

რეგიონული და ტექტონიკური კვლევების მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს კავკასიის ტექტონიკური რუკა, რომლის შედგენაში ინსტიტუტის თანაშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო-საკვლევი და საწარმოო გეოლოგიური ორგანიზაციები. ეს რუკა მეტალოგენურ-პროგნოზული რუკების შედგენის ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

ფართოდ გავრცელებული ვულკანური და ვულკანოგენურ-დანალექი ფორმაციების შესწავლაში მიღებული შედეგებით დადგენილია მათი მეტად რთული პეტროქიმიური ბუნება და ვულკანიზმის ევოლუცია დროსა და სივრცეში. აკადემიკოსმა გ. ძოწენიძემ საქართველოსა და მსოფლიოს მრავალი მადნიანი პროვინციების შესახებ არსებული დიდალი მასალები გააანალიზა, რის საფუძველზე შექმნა ფუნდამენტური ნაშრომები; მათში დასაბუთებულია მთელი რიგი მადნული საბადოების — რკინის, სპილენძ-კოლჩედანური და სხვათა ფორმირების მჭიდრო კავშირი ვულკანოგენურ-დანალექ ლითოგენეზთან, ამავე ასპექტშია განხილული მარგანეცის წყაროს პრობლემა ჭიათურის საბადოს მაგალითზე. ამ შრომებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და ლენინური პრემიები მიენიჭა.

მნიშვნელოვანი პეტროლოგიური კვლევებია ჩატარებული ძირულის, ხრამის და ლოქის მასივების, კავკასიონის კრისტალური გულის მეზოზოურისწინა სუბსტრატის და საერთოდ, საქართველოს ყველა გეოტექტონიკურ ზონაში ფართოდ გავრცელებული მეზოზოური და კაინოზოურ ინტრუზიების შესწავლის მიზნით.

დიდი საწარმოო მნიშვნელობის შედეგებია მიღებული პოსტვულკანურ წარმონაქმნთა მინერალოგიის — ცეოლითების კვლევის საქმეში.

ფართო მასშტაბის სამუშაოებია მოწყობილი საქართველოს ბეღურასა და კავკასიონის სამხრეთ ფერდის გეოსინკლინის დანალექი ფორმაციების ლითოლოგიური კვლევის მიზნით. სისტემატურად ეწყობა საქართველოს სპილენძ-პირიტული, სპილენძ-კოლჩედანური, ტყვია-თუთიის, რეალგარ-აურიპიგმენტის, არსენოპირიტის, ბარიტის, რკინის და სხვათა საბადოების, მადნიანი ველებისა და ფორმაციების და ცალკეულ მადანგამოვლინებათა სტრუქტურებისა და ფორმირების პირობებისა და სივრცეში განაწილების კანონზომიერებათა შესწავლა. წლების მანძილზე დაროვილი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე შედგენილია პროგნოზულ-მეტალოგენური რუკები აჭარის, სამხრეთ ოსეთის, სვანეთის და ბოლნისის მადნიანი რაიონებისათვის.

ჩვენი ინსტიტუტი თავისი საქმიანობით მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო საქართველოს და ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან, არამედ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალ მეცნიერულ ცენტრებთან. ამ მხრივ საყურადღებოა ინსტიტუტის თანამშრომლთა მონაწილეობა ისეთი პრობლემის დამუშავებაში, როგორიც არის „გეოსინკლინური პროცესი, დედამიწის ქერქის ჩამოყალიბება და „ალპური ნაოჭა მხარის გეოლოგია".

თანამედროვე გეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა — აღნიშნა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე, — კომპლექსურად შევისწავლოთ ზედა მანტია და დედამიწის ქერქი.

გეოლოგიური ინსტიტუტის კოლექტივი არ დაიშურებს თავის ძალას და ენერგიას, რათა მომავალში კიდევ უფრო მა

საქართველოს ქუთა-ბაქაში

ი. გოგებაშვილის მედლის მინიჭება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ მიიღო დადებითლება „დედა ენის“ გამოსვლის 100 წლისთავთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

სახალხო განათლების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მედალი მიენიჭათ მეთოდისტ პედაგოგს ვ. მუმკუდიანს, გორის რაიონის სოფელ შინდისის საუბალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ნოდარ სამნიაშვილს, ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორს ბ. შელიას, მწერალ ლ. ჯიჯინაძეს. (საქინფორმი).

სოფლის სიახლენი

ბუნებრივი გაზი ჩუმლაყში

გურჯაანი. (საკ. კორ). ამას წინათ სოფელ ჩუმლაყის კომეგურნეობის ცენტრში აინთო ცისფერი ალი. ახლა სოფლის უბნებში გაზსადენების გაყვანის სამუშაოები მიმდინარეობს. გურჯაანის რაიონში ეს პირველი სოფელია, რომლის მოსახლეობაც სულ მალე ბუნებრივი გაზით ისარგებლებს.

ახალი ავტომატური სატელეფონო სადგური

ახმეტა. (საკ. კორ.). სოფელ მატანში საექსპლოატაციოდ გადაეცა 300-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური. ახლა ამ სოფლის მშრომელებს შეუძლიათ სატელეფონო კავშირის დამყარება რაიონის ცენტრთან და სხვა დასახლებულ პუნქტებთან.

ხარაჩოები ჩამოხსნეს

ლენტეხი. (საკ. კორ.). მაღალმთიან სოფელ ფაღაში ხარაჩოები ჩამოხსნეს კლუბის ახალ შენობას. აქვე მოთავსდება სოფლის საფერშლო პუნქტი, მაღაზია და ბიბლიოთეკა.

მშობლიურ მხარეში

საინტერესო და მრავალფეროვანი იყო წლევანდელი ტურისტული სეზონი მცირე ძრავების ტექნოლოგიის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის. ტურისტულმა ჯგუფებმა დალაშქრეს მესხეთ-ჯავახეთის, კახეთის, სვანეთისა და დუშეთის ბილიკები, გაეცნენ მოძმე უბარდომალუარეთისა და დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკათა ისტორიულ ძეგლებს, ინახულეს ვარძია და ახალი ათონის გამოქვაბული. მოგზაურობის მოყვარულთა დიდმა ჯგუფმა შეასრულა ტურისტის საკავშირო ნიშნის ნორმატივი. ახლახან ინსტიტუტში შეიქმნა მუდმივმოქმედი ტურისტული სექცია, რომელშიც 60-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე გაერთიანდა.

დ. კახურაშვილი.

სურათზე: თუშეთი. სოფელ შენაქის ხედი.

ფოტო ავტორისა.

კონსტიტუციის დღეს მიეძღვნა



ამანათრგენი „თბილისის რკალი“

კვირა დილით თბილისელი სპორტის მოყვარულები მრავლად მოვიდნენ ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე, სადაც დანიშნული იყო საჭოთა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი მძლეოსნური ამანათრბენის სტარტი.

შეჯიბრების **ტრასა** (მთავარი მსაჯი თ. მაჩაბელი), რომელიც 21 ეტაპად იყო დაყოფილი, 7 კილომეტრს შეადგენდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამანათი ფინიშზე პირველმა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ძლიერმა გუნდმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ვ. ვაშაკიძე) მიიტანა. გამარჯვებულის დროა 17,02. მეორე ადგილზეა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (17,31), მესამეზე — თბილისის მწვრთნელთა სკოლის გუნდი (17,43). ეს კოლექტივები, რომლებმაც გაიმარჯვეს აბსოლუტურ ნათელაში, პირველ ჯგუფში გამოდიოდნენ.

მეორე ჯგუფში (ტექნიკუმები) მოსასპარეზე გუნდების პრეზიორები ასე განაწილდნენ: ინდუსტრიული, კავშირგაბმულობის, მსუბუქი მრეწველობის; მესამეში (რაიონები): ლენინის, პირველი მაისის, 26 კომისრის სახელობის; მეოთხეში (სპორტკლუბები): „განთიადი“, „სინათლე“, „უშბა“.

აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულ გუნდს და მის წევრებს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ყირმელაშვილმა საზეიმო ვითარებაში გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომები გადასცა.

• • •

სურათზე: ამანათრბენის ხტარტი ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე.

ვ. ბენგბიშის ფოტო.

ჭადრაკი ◆ ქალთა საზონათაშორისო

ტურნირის თავისებურებანი

თბილისის ტურნირის ძალზე მოკლე დისტანცია მონაწილეებს აიძულებს ხელი აიღონ ზედმეტ სითამამეზე, უკიდურესი სიფრთხილით და პასუხისმგებლობით მოეკიდონ თვითეულ პარტიას. ერთი დამარცხებაც კი, რასაც სხვა, უფრო ხანგრძლივ შეჯიბრებაში შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდეს, აქ თითქმის საბედისწეროა.

ამ თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, უდავოდ „ოქროს ფასად“ შეიძლება ჩავთვალოთ ჩიბურდანიძის გამარჯვება უშუალო მეტოქე კოზლოვსკაიასთან. დავიწყოთ იმით, რომ, როგორც უკვე ვწერდით, პიატიგორსკელი მოჭადრაკე პირველ ტურებში საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებდა და ამასთან მეხუთე ტურისათვის, როდესაც მაიას შეხვდა, შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერიც იყო.

ამ შეხვედრაში კოზლოვსკაიამ შავებით სიცილიურ პარტიას მიმართა. როგორც ეს ამ დებიუტის საკმაოდ ხევრ ვარიანტს ახასიათებს, პიატიგორსკელმა ცენტრში აშკარად ხუსტი პაიკი მიიღო, რომელიც შემდგომში დაკარგა კიდეც. მართალია, მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო — შავების ორი მხედარი მეფის ფრთაზე აქტიურად მოქმედებდა, მაგრამ ჩიბურდანიძემ საინტერესო გაცვლითი ოპერაციები განახორციელა და თამაში პაიკების მოსაგებ ენდშპილში გადაიყვანა.

აი ეს პარტიაც:

ჩიბურდანიძე — კოზლოვსკაია

სიცილიური პარტია

1. e4 c5 2. ∂f3 ∂c6 3. d4 cd 4. ∂:d4 ∂f6 5. ∂c3 d6 6. ⚡g5 e6 7. ♕d2 a6 8. 0-0-0 h6 9. ⚡e3 ♕d7 10. f3 b5 11. g4 b4 12. ∂ce2 ∂e5 13. ∂g3 ⚡e7 14. h4 ♖c7 15. ∂ef1 a5 16. g5 hg 17. hg ♖:h1 18. ∂:h1 ∂h5 19. ∂b5 ♖c6 20. ∂:d6+ ⚡:d6 21. ♖:d6 ♕c8 22. ♖:c6 ⚡:c6 23. ⚡e2 ∂g6 24. ∂f2 ∂hf4 25. ⚡f1 e5 26. ∂d3 ∂:d3 27. ⚡:d3 ∂f4 28. ⚡f1 ⚡d7 29. ⚡:f4 ef 30. ♔:d7 ∂e:d7 31 ⚡h3+ ∂e:c7 32. ⚡:c8 ∂e:c8 33. c3 bc 34. b3 ∂ed7 35. ∂e:c2 ∂e6 36. ∂e:c3 f5 37. gf ∂e:f6 38. a3 g5 39. b4 ab+ 40. ab g4 41. fg_და შავები დანებდნენ.

მეხუთე ტურის სხვა პარტიებიდან უნდა აღინიშნოს ივანკას მნიშვნელოვანი გამარჯვება ჰოფმანთან, რის შემდეგაც უნგრელი მოჭადრაკე შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერი გახდა, და ფატალიბეკოვას იოლი მოგება კეულერთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მაია ჩიბურდანიძე

ბ. ფერცხალაპას მეგობრული შარჟი.

მეექვსე ტურის წინ მსაჯთა კოლეგიამ გამოაცხადა, რომ კანადელი ოსტატი ვუიაშვეიჩი ავადმყოფობის გამო ტურებს შეჯიბრებას და მისი შედეგები ამიერიდან ანულირებულია. ასე გაუქმდათ გამარჯვებები ბაუმშტარკს, ფატალიბეკოვას, ჰოფმანსა და ჩიბურდანიძეს, ამან კი საკმაოდ შეცვალა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში.

მეექვსე ტურის პარტიების ნაცვლად გადაწყდა მეათე ტურის შეხვედრების გამართვა, რათა ერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა რაც შეიძლება ძალე დაამთავრონ ერთმანეთთან შეხვედრები.

ჩიბურდანიძე შავებით ეთამაშებოდა აშშ-ს ჩემპიონ სვეერიდს. მწვავე პოზიციაში მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დასრულდა ბაუმშტარკ-კეულერისა და ივანკა-ფატალიბეკოვას პარტიები. ორი შეხვედრა გადაიდო.

გუშინ დამთავრდა გადადებული პარტიები.

სამ პარტიას ამთავრებდა ზატულოვსკაია. როგორც მოსალოდნელი იყო, მან მოუგო კეულერს, მაგრამ დამარცხდა ფოისტელთან. მესამე შეხვედრა ლატინსკაიასთან ძალიან გაჭიანურდა. აქ ლვოველმა მოჭადრაკემ ვერ გამოიყენა მატერიალური უპირატესობა. ზატულოვსკაიამ ტაქტიკური დარტყმით მოიგო ფიგურა, რის შემდეგ უკვე ლიტინსკაიას მოუხდა პარტიის ხსნაზე ზრუნვა. პარტია კვლავ გადაიდო. ფატალიბეკოვამ მოუგო კოზლოვსკაიას, კოზლოვსკაიამ — ჰოფმანს. ჰოფმანსვეერიდი და ლიტინსკაია-ბაუმშტარკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

6 ტურის შემდეგ 4 ქულით შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერია მარია ივანკა. (უნგრეთი).

ბ. გამრეკელი.

44-ე საკავშირო

კარპოვის მეორე გამარჯვება

მოსკოვის ჩემპიონი კარპოვი, რომელმაც ტურნირი უფერულად დაიწყო, ახლა თანდათანობით ასწორებს თავის სატურნირო მდგომარეობას. მეექვსე ტურში იგი თეორიით ეთამაშებოდა ოსტატ კუპრეიჩიკს. ესპანურ პარტიაში კუპრეიჩიკმა ბირჩია ვარიანტი, რომელიც, ექსპერტების დამოწმებით, არ გვხვდება სერიოზულ სატურნირო პრაქტიკაში. კარპოვმა ენდშპილში აჯობა მეტოქეს, მეორე გამარჯვება მოიპოვა და ლიდერთა ჯგუფში შევიდა. დიდხანს ძალიან ძნელი დაცვა მოუხდა გელერს შავებით ცეშკოვსკისთან. გელერმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და მუდმივი ქიშით მიაღწია ყაიმს. დიდი ბრძოლა არ გამართულა და ასევე ყაიმით დამთავრდა პოლუგაევსკი-პეტროსიანის შეხვედრაც.

ლიდერებმა — ბალაშოვმა და ლორფმანმა გადადეს თავიანთი პარტიები.

კალათბურთის ფარეებთან

კვირას თბილისის „დინამომ“ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე მატჩი გამართა, აძყერად მოსკოვში ადგილობრივ „დინამოსთან“.

ქართველმა კალათბურთელებმა პირველ ტაიმში მხოლოდ ორი ქულა დამთმეს — 38:40, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ დიდი ანგარიშით 74:94. ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი იყვნენ მოსკოველი ჟიგილი (27 ქულა) და თბილისელი დერიუგინი — 23 ქულა.

მოსკოვის „დინამო“ სათავეში ჩაუდგა გათამაშებას — ოთხი მოგება ექვსი მატჩის შემდეგ. დაუმარცხებლად იბრძვიან მხოლოდ კიევის „სტროიტელი“ და ცსკა, რომლებმაც სამ-სამი მატჩი მოიგეს. არმიელებმა ახლა მცირე ტაიმ-აუტი აიღეს ჩემპიონატში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ ტურნირში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

კვირას ლენინგრადის „სპარტაკმა“ ვილნიუსში დაამარცხა ადგილობრივი „სტატბა“ — 93:87 (54:48).

სტარტგმა „ჟიგულები“

საინტერესო შეჯიბრება გაიმართა კვირას თბილისში. სპორტის სასახლის წინ სტარტი მიეცა ავტომანქანა „ჟიგულების“ ასპარეზობას ჩქაროსხულ მანევრირებაში, რომელშიც მართვის ხელოვნებას 28 მძღოლი უჩვენებდა. მანქანებს უნდა გაეკვლიოთ სხვადასხვა ზომის კარები, ხრეკ, „სლალომის“ ტრასა და ა. შ.

რთული ამოცანა ყველაზე კარგად შეასრულა მანქანაგასაღების სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ს. ალბახოვმა (ახალგაზრდული კლუბი „ამირანი“). მეორე შედეგი აჩვენა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტმა ხ. მაღლაკელიძემ, მესამე — „საქკავშირმშენის“ ტრესტის სპეციალიზებულ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ინჟინერმა ჯ. ჯაბუამ.

ბ. ძვალაძე.

ამოკლედ

მხატვრული ტანვარჯიში. სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა, 18 წლის კიეველმა ირინე დერიუგინამ მოსკოვში ალორეტ მოიპოვა ინტერვიზიის თასი. შეჯიბრების მეორე დღეს ი. დერიუგინამ გაიმარჯვა ოლიმპიადა (9,6 ქულა) და ზონრით (9,8) გარკვეშში და საბოლოოდ 38,85 ქულა მოაგროვა. გოგონასთა შორის პირველი იყო 13 წლის სვერდლოვსკელი გულია აპკადიროვა — 18,85 ქულა.

ფეალგურთი. მოსკოვის მეზღვაურთა გუნდმა კვირას დედაქალაქში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ ტურნირში მესამე გამარჯვება მოიპოვა ამჯერად „ვიურცბურგთან“ (გფრ) — 3:2 და პირველად დაეუფლა ამ სპატიო პრიზს.

ტანვარჯიში. თბილისში ოთხ დღეს გრძელდებოდა ამერიკაკავალიის რესპუბლიკების მეორე ახალგაზრდული თამაშები. ოსტატთა პროგრამით მოსახპარეზე ქალთა შორის გაიმარჯვა თბილისელმა ეშლოვატენკომ, რომელმაც 78:85 ქულა მოაგროვა. ოსტატ ვაჟთა შორის საუკეთესო იყო ერევანელი ბ. კაზარიანი — 105,7 ქულა.

ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ბატჩში ქალაქ ლმბასოლში (კვიპროსი) პორტუგალიის ნაკრებმა ანგარიშით 2:1 (1:0) დაამარცხა კვიპროსის გუნდი, ხოლო ავსტრიელებმა ლავალეტაში (მალტა) სალიეს მალტის ნაკრებს — 1:0 (0:0).

ჩოგბურთი. სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ვაჟთა და ქალთა უძველესს ათეულთა სიები, რომლებსაც სათავეში კვლავ უდგანან თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი (მეცხრედ) და მოსკოველი ოლგა მოროზოვა (მეშვიდედ). მეორე ნომრებად დაასახელეს თეიმურაზ კაკულია (თბილისი). და ნატალია ზმირნოვა (მოსკოვი).

ტელევიზია

7 დეკემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გადმოსაღლელებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სტუდიად ზღაპართან — მხატვრული ფილმი „რუსლან და ლუდმილა“ (II სერია) ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.35 — მოსწავლეთათვის — გეომეტრია, 12.05 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — კინოჟურნალი „სოფლის მეურნეობა“ № 3 (ქართულ ენაზე), 17.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მალტა“, 18.00 — „თესლი მოსავლის დედაა“, 18.20 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 18.50 — სპორტული მიმოხილვა, 19.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.30 — „ხიტყვას ითხოვს კომუნისტი“ (გამეორებით), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — მინისტრი სტუდიაში, 21.00 — „მუსიკალური შეხვედრები“ ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საბჭოთა კავშირში რუმინული მუსიკის ფესტივალის გახსნა — (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — რუსული სკოლების მეცხრეკლასელთათვის — ფიზიკა, 18.50 — პირველად ჩვენს ეკრანზე — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიშანდებული ხეები“, 19.10 — განცხადებები, 19.15 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 20.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი და სოფელი“, 21.00 — მხატვრული ფილმი „მოსკოვი ჩემი სიყვარული!“



8 დეკემბერი

პირველი პროგრამით

08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ი. ბახი — სავიოლინო კონცერტი რემინორი, 11.45 — ქართველი პოეტები ხუთწლედის მხარდამხარ, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია 13.40 — ო. თაქთაქიშვილი — ნაწყვეტები ოპერიდან „სამი ნოველა“, 14.20 — ბ. ჩაიკოვსკი უვერტურა ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა“ და ვარიაციები როკოკოს თემებზე, 15.00 — „ჩვენი ახალი ჩანაწერები“ — ბ. ახმადულინა, 21.00 — ძილისპირული, 21.15—ახალგაზრდობისათვის — „როგორ ჩავიცვამ“, 21.45 — ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „დილების“ კონცერტი, 22.00 — ჯ. სელინჯერი. „ნაღვლიანი პანგი“ რადიოდადგმა.

თეატრები

7 დეკემბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა (დასაწყ. 7 ს.); **შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გმირთა მარსამ; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ლამპარჩელი; ახალგაზრდული დრამატული თეატრსტუდიის — ძალმსნები.**

ბერმუდის სამკუთხედი: მითები და ფაქტები

მკითხველი გვთხოვს მოვუთხრთ

ამ ბოლო დროს პრესა და ტელევიზია დიდ ყურადღებას უთმობენ ეგრეთწოდებულ ბერმუდის სამკუთხედს, სადაც თითქოს იდუმალებით მოცულ ვითარებაში ქრებოდნენ გემები და თვითმფრინავები. მხედველობაშია სამკუთხედი ატლანტიკაში ფლორიდის, ბერმუდის კუნძულებსა და პუერტო-რიკოს კუნძულებს შორის. ტრაგედიებს რადაც შეუცნობელი ძალის მოქმედებას მიაწერენ. ზოგჯერ გემიდან თითქოს უკვალოდ ქრებოდეს მთელი ეკიპაჟი, რის შემდეგაც უეცრად ზომალდი ეულად დასრიალებს ტალღებზე. ახალგოგიური საიდუმლოებით მოცული მოვლენები თითქოს აღმოენიშნოთ აგრეთვე „ჯოჯოხეთურ ზღვაში“ დედამიწის სფეროს მეორე მხარეზე, მაგრამ დაახლოებით იმავე გეოგრაფიულ განედზე ია-პონიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირის, ფილიპინების და გუამის კუნძულებს შორის.

როგორც ჩანს, ამერიკელმა სანდერსონმა დედამიწის სფეროს მთელი ზედაპირი პირველად დაყო სამკუთხედებად და მათგან გარკვეული სამკუთხედები საიდუმლოდ გამოაცხადა. მანვე მოიყვანა „ფაქტები“, როცა, ბერმუდის სამკუთხედში თვითმფრინავებს რამდენიმე წლით დაუტოვებიათ ჩვენი სივრცე და დრო, ხოლო შემდეგ მშვიდობით დაბრუნებულან. ეს ეკიპაჟებისათვის სრულიად შეუმჩნეველად ხდებოდა, დედამიწისზედა სამსახურებისათვის კი თვითმფრინავები ქრებოდნენ „არსაით“, შემდეგ კი კვლავ გამოჩნდებოდნენ ხოლმე“. აღმოჩნდებოდა, რომ სამხრეთ-ჯავახეთის საათი დედამიწის საათთან შედარებით სწორედ იმ დროით იყო ჩამორჩენილი, რომლის განმავლობაშიც თვითმფრინავი ქრებოდა.

აყენებენ სხვადასხვა ჰიპოთეზას. ერთნი ფიქრობენ: ყოველივე ეს უეჭველად ადამიანურებს, რომ ჩვენს პლანეტას სხვა პლანეტელები ეწვევიან ხოლმე, მეორენი ამტკიცებენ: ატლანტიდის მცხოვრებლებმა, რომლებიც თავის დროზე ოკეანის ფსკერზე აღმოჩნდნენ, ამუამად განვითარების მნიშვნელოვნად უფრო მაღალ დონეს მიაღწიეს, ვიდრე დედამიწელებმა, და ზოგჯერ ოკეანის ზედაპირზე ამოდიან და პროგრესში ჩამორჩენილ თანამოძმეებს ეტაცებენო. ეცხადნენ კი, რომლებსაც რა-გრეგიც ჩანს, ცოტა რამ გაეგებათ ამაზე, თუ რა არის ლაზერი, გვარწმუნებენ: ადამიანები, გემები და თვითმფრინავები რაღაც ატმოსფერული პლანეტის ზომის ლაზერის მოქმედების შედეგად „ქრებიანო“. მეოთხენი ფიქრობენ: ამ რაიონებში ოკეანის ფსკერი ზოგჯერ ეპობა, შიგ სწრაფად ჩადის წყალი და იწოვს ხომალდებს, ჰაერში, კი ოკეანის თავზე წარმოიშობა „ანტიხმერჩი“, რომელშიც თვითმფრინავები იღუპებიანო. ამ უკანასკნელი ახსნა-განმარტების ავტორებმა აშკარად არ იციან, რომ დედამიწის ქერქში ყოველგვარ ახეთ მოვლენას დაუყოვნებლივ აღნიშნავდა ათობით სეისმური სადგური. მეხუთენი ამ საოცრებებს უკავშირებენ ამერიკელი კოსმონავტების მიერ ამ რაიონში აღმოჩენილ ოკეანის დონის 25 მეტრით დაწევას და როგორც ჩანს, ახკვნიან, რომ ამას არ შეიძლება არ მოჰყვეს ოკეანეში ძლავრი მიმოქცევების წარმოშობა. მეცნიერებათა აკადემიასა და გაზეთების რედაქციებში მოდის მრავალი წერილი, რომლებიც შეიცავს საოცრებათა სხვაგვარ „ახსნასაც“ ან თხოვნას განვუმარტოთ — მაინც რა ხდება სინამდვილეში ბერმუდის სამკუთხედში.

ფაქტები მოწმობს, რომ ბერმუდის სამკუთხედში მართლაც შეიმჩნევა ხაზღვაო და საჰაერო კატასტროფების გაზრდილი რაოდენობა. არსებობს თუ არა რაიმე ფიზიკური პროცესები დედამიწის ქერქში, ატმოსფეროში ან ოკეანეში, რომელთა მიზეზით ხდება ყოველივე ეს?

როგორც სხვადასხვა ქვეყნის ხეიხმური სადგურების განშტოებული ქსელის საქმიანობის შედეგები უჩვენებს, ამ რაიონის დედამიწის ქერქში არ ხდება არავითარი პროცესები, რომლებსაც შეიძლება ოკეანის ზედაპირზე ზომალდების ანდა ატმოსფეროში თვითმფრინავების დაღუპვა მოჰყვეს. ამუამად მეცნიერებას აქვს აგრეთვე საკმარისი მონაცემები აქ, თვით ოკეანის ხიზრქეში მიმდინარე მოვლენების შესახებ. შემოხვევით ბერმუდის სამკუთხედი დაემთხვა რაიონს, სადაც ამერიკელი მეცნიერნი საბჭოთა მეცნიერების მონაწილეობით, 1971 წლიდან მოყოლებული, დეტალურად იკვლევენ სხვადასხვა სიღრმეზე ზღვის დინებების სტრუქტურას. ამისათვის ორ ხერხს იყენებენ. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, დინებათა გასაზომ ხელსაწყოებს დგამენ სხვადასხვა ჰორიზონტზე ოკეანის ბევრ ფიქსირებულ წერტილში (მრავალ ასეულ კილომეტრზე). მეორე ხერხის თანახმად, ოკეანეში უშვებენ ნეიტრალური ცურვადობის უამრავ ტივტივას, რომლებიც ისეა მოწყობილი, რომ გარკვეულ სიღრმეებზე წონასწორდებიან და წყლის მასების მიმყვებიან. თავიანთ ადგილმდებარეობას ტივტივები რეგულარულად ატყობინებენ ხანაპირო ხაღგურებს აკუსტიკური არხით. ეს გამოკვლევები განაგრძობს სამუშაოებს, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებმა შეასრულეს „პოლიგონ-70“ პროგრამით აგრეთვე ატლანტიკაში, მაგრამ მის სხვა რაიონში.

ექსპერიმენტებმა მოგვცა და გვაძლევს მრავალ ახალ და უადრესად საინტერესო ცნობებს, მაგრამ მათი შედეგებიდან სრულიად გარკვეულად გამომდინარეობს, რომ ოკეანის წყლებშიც ისეთი არაფერი არ ხდება, რითაც შეიძლებოდა საიდუმლო გაქრობა აგვეხსნა. ახლა ბერმუდის სამკუთხედის რაიონში მუშაობს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის გემი „აკადემიკ ვერნადსკი“, რომელიც ასრულებს გამოკვლევებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის „პოლიგონის“ პროგრამით. გემზე მომუშავე მეცნიერებიც ვერავითარ საოცრებებს ვერ ხედავენ.

1969 წელს ბატისკაფი „ბენ ფრანკლინი“ ეკა პიკარის ხელმძღვანელობით ჩაეშვა წყალში ფლორიდის მახლობლად და საშუალოდ დაახლოებით 400 მეტრ სიღრმეზე გოლფსტრიმის წყლებთან ერთად მთელი ბერმუდის სამკუთხედი გადასერა და თითქმის ახალი ინგლისის ნაპირებს მიაღწია. როგორც ამ ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილე რ. ვიერი ამბობს, მათ ბევრი საინტერეო რამ ნახეს, მაგრამ არავითარი საიდუმლოება არ შეუმჩნევიათ.

სწორედ სამკუთხედის კუთხეებში განლაგებული შორი მოქმედების წყალქვეშა აკუსტიკური სისტემები, რომლებიც განუწყვეტლივ აღნიშნავენ წყალქვეშა ბგერებს როგორც სამკუთხედის ფარგლებში, ისე მის გარეთ ათასობით კილომეტრზე. დიდი ხანმედიდობით აღინიშნება სულ სხვადასხვა ბუნების უამრავი მოვლენა — ზღვის ფსკერის მოძრაობით და შორი ტორპედოთ დაწყებული და ვეშაპების მიერ გამოცემული ბგერებით დამთავრებული, მაგრამ გამოვლენილი არ არის არაფერი საიდუმლო რამ, რასაც შეიძლებოდა ავარიები მოჰყოლოდა.

ოკეანის დონის ადგილობრივი დაწევა, რაც ნამდვილად აღინიშნეს კოსმონავტებმა, აქ განპირობებულია გრავიტაციული ანომალიებით, განსაკუთრებით პუერტო-რიკოს ღრმულის რაიონში. ოკეანის ზედაპირის ასეთი ფორმა და ოკეანის დონის შემცირება დაახლოებით შეესაბამება მის თანაბარზომიერ მდებარეობასა და ამ რაიონში დედამიწის გეოიდის ფორმას, თუ გავითვალისწინებთ ზღვის ფსკერის რელიეფს. მოსალოდნელი იყო მძლავრი ნაკადები, აგრიგვლა და სხვა უჩვეულო მოვლენები, აქ რომ ოკეანის ზედაპირის დონე სხვანაირი იყოს, მაგალითად სფერულს რომ უახლოვდებოდეს.

მაინც რა არის მაშინ ამის მიზეზი, რომ სხვა რაიონებთან შედარებით ბერმუდის სამკუთხედში უფრო მეტი ხაზღვაო და საჰაერო ავარიები ხდება? ადამიანებმა, რომლებსაც ეს საქმე ეკალთან, გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად გააანალიზეს კატასტროფების უველა შემთხვევა, დაასკვნეს, რომ მათი მიზეზების ახახსნელად საჭირო არ არის საიდუმლო ძალების მივმართოთ. საქმე ის არის, რომ ამ რაიონში ნაოსნობისა და საჰაერო ფრენის ინტენსიურობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა რაიონებში. ავარიები აქ ბევრად უფრო მეტი იქნებოდა, თუნდაც ერთი ზომალდისა და ერთი თვითმფრინავისათვის მათი შეხვედრობა ისეთივე რომ იყოს, როგორიც სხვა ადგილებშია. სინამდვილეში კი ეს შესაძლებლობა რამდენადმე გაზრდილია ფრენისა და ნაოსნობისათვის უფრო რთული პიდრომეტეოროლოგიური პირობების გამო, რაც გოლფსტრიმის თბილი წყლების გავლენის შედეგია. გარდა ამისა, შედარებით ძლიერ დინებას სწრაფად მიაქვს იმ გემებისა და თვითმფრინავების ნატეხები, რომლებსაც ავარია მოუვიდათ. აქედან გამომდინარეობს მათი უკვალო გაქრობის ილუზია.

სხვათა შორის, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბერმუდის სამკუთხედში შესამჩნევად უფრო მეტი ავარიები ხდება საშობაო არდადეგების დროს — ამ პერიოდში იზრდება მოძრაობის ინტენსიურობა: ბევრნი საკუთარი იახტებით მიცურავენ ან კერძო თვითმფრინავებით მფრინავენ, რათა დღესასწაული ბაგამის კუნძულებზე გაატარონ.

ამერიკის შეერთებული შტატების ნანაპირო საშველი სამსახურის მე-7 ოლქის ხელმძღვანელი მუშაკებს, რომელიც უპირველეს ყოვლისა პასუხს აგებს ბერმუდის სამკუთხედში საშველი სამუშაოებისათვის, არაერთხელ გინუცხადებიათ, რომ არ ჰქონიათ რაიმე შემთხვევა, რომელთა ახსნა საიდუმლო ძალების დაუხმარებლად არ შეიძლებოდეს. ლოდის სადაზღვეო კომპანია, რომელსაც ზღვაში უბედური შემთხვევების ყველაზე სრული სტატისტიკა აქვს და ზედმეწევნით ითვალისწინებს დაზღვევის დროს რისკის სხვადასხვა ფაქტორს, ამ რაიონში მომავალ გემებს ხადაზღვევო გადასახადების ოდენობას არ უდიდებს: ამრიგად, არც ფართო მეცნიერული გამოკვლევები, არც ნაოსნობისა და ფრენის მდგომარეობის ანალიზი არაფერს არ ადასტურებს იმის შესახებ, რომ არსებობდეს რაღაც საიდუმლო ძალები და გარემოებანი.

ზოგჯერ ადამიანებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ხაზღვაო ტრანსპორტთან, უკვირთ— როგორ შეიძლება, რომ კავშირგაბმულობის დღევანდელი საშუალებების პირობებში გემები ისე ქრებოდეს, რომ უბედურების სიგნალს არ იძლეოდნენ, მაგრამ მეზღვაურებმა ბევრი ისეთი შემთხვევა იციან, როცა ეს სულ სხვადასხვა სრულიად მიზეური მიზეზების გამო ხდება ხოლმე. შეიძლება იყოს ისეთი მრავალი მიზეზი, რომ ეკიპაჟმა ხომალდი დატოვოს და მერე უეკიპაჟო ხომალდი ოკეანის ტალღებზე დასრიალდეს. მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს მტკიცებები, თითქოს ადამიანები შეეძლოს „დაეხოცოს“ ინფარბგერას, რომელსაც ძლიერი შტორმის დროს ზღვის ტალღები , გამოსხივებს. ინფრაბგერას მართლაც ასხივებს ზღვის ტალღები, და ამ სტატიის ავტორსაც ბევრი უმუშავია ამ საინტერესო მოვლენაზე, მაგრამ მისი ინტენსიურობა ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ის, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის.

ჩვენი სივრციდან თვითმფრინავების დროებითი გაქრობა ფაქტებისაგან ისევე შორს აღმოჩნდა, როგორც 5-10 წლის წინათ ერთ-ერთი უცხოელი მეცნიერის ცნობები ვენერაზე გაფრენისა და ვენერელებთან ურთიერთობის შესახებ, რაც მან ფართოდ გავრცელებულ წიგნებში აღწერა.

ისმება კითხვა: რატომ ჩნდება ხოლმე მითები მფრინავი თეფშებს, ჩვენს დედამიწაზე სხვა პლანეტელების, ან ახლა კი ბერმუდის სამკუთხედში „საოცრებების“ შესახებ? ყველაზე ხშირად ამ მითებს კაპიტალისტური ქვეყნების პრესა